საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 ნოემბერი შაბათი 2012 №273 (13 879) ფასი 80 თეთრი

დიდი ჯახი ვაკეში

იაპონია VS საქართველო

ბორჯღალოსნები რევანშისთვის ემზადებიან



12

მამუკა გორგოძე (ბურთით) და შალვა სუთიაშვილი

ლელოს სტუმარი

ლევან ყიფშიძე:

ჩემთვის გასაკვირი და სასიამოვნო იყო, სპორტის მინისტრობა რომ შემომთავაზეს.

დაფინანსების გაზრდის მიუხედავად, საქართველოში სპორტის აშკარა რეგრესია. კატასტროფულად იკლო მოვარჯიშეთა რაოდენობამ. დღეს თუ 33 ათასი სპორტსმენი გვყავს, საშუალო ევროპულ ქვეყნებში მათი რიცხვი 100-150 ათასს აჭარბებს.

უპირველესად, უნდა მოხდეს არა კალენდრული, არამედ პროგრამული განვითარების დაფინანსება სპორტის სამინისტროს ფუნქციაა, ხელი შეუწყოს სპორტის განვითარებას კანონშემოქმედებითობით.

10

საქართველო FIBA-ს აუჯანყდა

ხვალ სლოვენიაში ევრობასკეტ 2013-ის წილისყრაა

ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან

11

ხვალ ამ გამოქვაბულში საქართველოს საკალათბურთო ბედი გადაწყდება

გამოქვაბულში, საკალათბურთო დინოზავრების გარემოცვაში

ვის შეგვახვედრებს წილისყრა?

I კალათი: ესპანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, მაკედონია.
II კალათი: ლიტვა, საბერძნეთი, სლოვენია, ბრიტანეთი.
III კალათი: იტალია, ხორვატია, გერმანია, ჩერნოგორია.
IV კალათი: ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა, ბოსნია.
V კალათი: **საქართველო**, ბელგია, ლატვია, თურქეთი.
VI კალათი: ჩეხეთი, სერბეთი, ისრაელი, შვედეთი.

საქართველოს ჩემპიონატი. XV ტურის წინათქმა

ქუთაისში ტურის ცენტრალური მატჩია

ტორპედო რევანშისთვის ემზადება

2

საჭადრაკო სამყარო ახალ დედოფალს ელოდება

ჰოუ იფანი დამარცხდა და საჭადრაკო ტახტიც გათავისუფლდა. გვირგვინის მაძიებელ 16 დიდოსტატს შორის

ლელა ჯავახიშვილიცაა

11

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. XV ტურის წინათქმა

ტური დიდი მაჯრის წინ

24 ნოემბერს "დინამო არენაზე" "დინამო" "დილას" უმასპინძლებს და ამ მატჩს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ჩემპიონატის პირველი ეტაპის ფინალი. იქამდე კი ერთი ტურია გასამართი და გავიგებთ, როგორ ხვდება ჩემპიონობის ორი უმთავრესი პრეტენდენტი ამ უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებას, ასევე შევიტყობთ, როგორ ფორმაში არიან ამ დუეტის მდევრები და სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში განთავსებული გუნდები.

ორივეს მიზანი გამარჯვებაა

ტურის ცენტრალური მატჩი კი ქუთაისში გაიმართება და პირველად სწორედ მას შევეხოთ.

ქუთაისელებისთვისაც და რუსთაველებისთვისაც გასული ტური წარუმატებელი გამოდგა – "ტორპედო" ზესტაფონში დამარცხდა და ამით ლიდერთა დუეტს საკმაო სხვაობით ჩამორჩა, "მეტალურგმა" კი მარტვილში ფრეზე მეტს ვერ მიაღწია და საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის შანსები კიდევ უფრო შეიმცირა.

ხვალინდელი მატჩი კი ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. "ტორპედოს" გამარჯვება და მინიმუმ მესამე პოზიციის გამყარება მართებს, "მეტალურგს" კი ზეექვსეულში მოხვედრის მცირე შანსის შესანარჩუნებლად ასევე გამარჯვება ესაჭიროება. ერთი სიტყვით, მასპინძლებსაც და სტუმრებსაც შექმნილი გარემოება აქტიურობისკენ უბიძგებს, რაც სანახაობრივი ფეხბურთის ხილვის ალბათობას ერთიორად ზრდის.

უნდა გავიხსენოთ ამ გუნდებს შორის პირველ წრეში გამართული მატჩი, სადაც "ტორპედომ" რუსთავში შესანიშნავი ფეხბურთის დემონსტრირება მოახდინა და მეტოქე 4:0 გაანადგურა.

ამ მატჩის ნახვა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის პირდაპირი ტელეეთერით იქნება შესაძლებელი.

დისკვალიფიკაციის გამო მეტოქეებს თითო მნიშვნელოვანი ფეხბურთელი დააკლდებათ – "ტორპედოს" **გიორგი დათუნაიშვილი**, ხოლო "მეტალურგს" **მიხეილ მახვილაძე** ვერ დაეხმარება.

დღევანდელი ინტრიგა

ტური შაბათის მატჩებით იხსნება. მცხეთაში ერთმანეთს უშუალო კონკურენტები დაუპირისპირდებიან. "ვიტ ჯორჯიამ" და "სიონმა" საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის იმედები უკვე გადაინურეს, მაგრამ რაკი წინა სეზონისგან განსხვავებით, პირველ ეტაპზე მოპოვებული ქულები გუნდებს სრულად უნარჩუნდებათ, თითოეული მატჩის ფასი მაღალია.

"სიონი" ბოლო დროს აშკარად მოფერიანებულია. ზღვისპირეთში მოპოვებული ექვსი ქულით ბოლნისელებმა სატურნირო მდგომარეობა აშკარად გამოისწორეს და უიმედო აუტსაიდერებს აღარ მიეკუთვნებიან. გასაკვირი არ არის, "სიონი" წინა ტურში შინ "დილასთან" რომ დამარცხდა, უშუალო კონკურენტებთან ჭიდილში კი, ცხადია, წარმატების მეტი შანსი აქვს.

სეზონს საკმაოდ ნორმალურად ატარებს "ვიტ ჯორჯია", რომელიც ქულათა საჭირო რაოდენობას არცთუ ურიგო "გრაფიკით" აგროვებს და დღევანდელი გადასახედიდან, უმაღლესი ლიგის დატოვების დიდი საფრთხე არ ემუქრება.

პირველი წრის მატჩი: მეტალურგი ტორპედო 0:4

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თუმცა ბუნებრივია, მოდუნება არავის წაადგება და კონკურენტთან საშინაო მატჩში ვეტერინარები მიზნად მხოლოდ გამარჯვებას დაისახავენ.

ამ შეხვედრას ფავორიტი არ ჰყავს და შესაბამისად, ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი.

სამაგიეროდ, ივანწმინდაში გასამართ მატჩს ჰყავს ფავორიტი და ეს სტატუსი "ჩიხურას" უნდა მივაკუთვნოთ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველ წრეში "მერანმა" შინ საჩხერელებს 1:0 სძლია, თუმცა საკუთარი კედლები ორივე მათგანისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და ძალთა თანაფარდობა სწორედ იმის მიხედვით იცვლება, თუ ვინ არის მასპინძლის როლში.

თუკი ვინმეს "ჩიხურას" შედეგიანი სტარტი შემთხვევითობა ეგონა, ვფიქრობთ, აზრი უკვე შეიცვალა. საჩხერელები სტაბილურ ასპარეზობას განაგრძობენ, ზეექვსეულამდე თითქმის აღარაფერი აშორებთ და არ არის გამორიცხული, უფრო შორსმიმავალ გეგმებზეც ალაპარაკდნენ.

თავისი შესაძლებლობების ფონზე ურიგოდ არც "მერანი" თამაშობს და მარტვილელები არც დღეს აპირებენ სტატისტის როლში ყოფნას.

ჩემპიონისა და ლიდერების ამოცანა

იმერულ დერბიში გამარჯვებით "ზესტაფონმა" ფსიქოლოგიური მდგომარეობაც გამოისწორა და ისიც დაგვანახა, რომ კვლავინდებურად მზად არის ამბიციური ამოცანების განსახორციელებლად. საქართველოს მოქმედი ჩემპიონი მეექვსე პოზიციაზე რჩება, რაც მის ამბიციებს ოდნავადაც არ შეესაბამება, მაგრამ ფაქტია, რომ ფეროელთა შედეგიანობაც და თამაშის ხარისხიც ეტაპობრივად უკეთესობისკენ მიდის.

მორიგი დაპირისპირება "ზესტაფონს" ქობულეთში ელის ბათუმის "დინამოსთან", რომელიც ბოლო მატჩებში განსაკუთრებულად არასახარბიელოდ გამოიყურება. ზღვისპირელებმა ხომ ზედიზედ ექვსი მარცხი განიცადეს, რითაც სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო დაიმძიმეს. ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ბათუმელები ამ უსიამოვნო სერიის შეწყვეტას.

"დილამ" უკვე "ათიანში გაარტყა" და ხვალ გამარჯვებათა სერიის თერთმეტამდე გაზრდას აპირებს. შეგახსენებთ, ათივე გამარჯვებას გორელებმა **გიორგი დარასელიას** ხელმძღვანელობით მიაღწიეს, რომელსაც ქართულ კარიერაში ჯერ ქულაც არ დაუკარგავს.

ბოლნისში მოპოვებული სამი ქულის შემდეგ "დილა" შინ "ზუგდიდთან" მოგებას აპირებს. ფინანსური სირთულეების მიუხედავად, ზუგდიდელები კვლავ დამაჯერებლად ასპარეზობენ და ზეექვსეულში მოხვედრის ჩინებული შანსებიც გააჩნიათ. უდავოა, რომ **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი გორშიც ბოლომდე იბრძოლებს, თუმცა ორი წამყვანი ფორვარდი, **ირაკლი ქობალია** და **გიორგი გაბედავა** ჰყავს დისკვალიფიცირებული.

ლიდერობის შესანარჩუნებლად თბილისის "დინამო" ფოთში იბრძოლებს. 3-ქულიანი ბოლოადგილოსანი 33-ქულიან პირველადგილოსანს მასპინძლობს და გასაგებია, ვინც არის შეხვედრის უპირობო ფავორიტი, თუმცა, ცხადია, დედაქალაქელებს გამარჯვება გარანტირებული არ აქვთ და უნდა ვივარაუდოთ, რომ დინამოელები **დუშან უჰრინის** შენიშვნებს გაითვალისწინებენ და უფრო კონცენტრირებულად ითამაშებენ, ვიდრე წინა ტურში ბათუმის "დინამოსთან" საშინაო მატჩში.

"კოლხეთზე" კი რა უნდა ვთქვათ – ამჟამინდელი ვითარება მათთვის კატასტროფულია და ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ცხრილის ფსკერიდან აღმა სიარულს.

17.11. ივანწმინდა. 14:00

ჩიხურა–მერანი

ურთიერთშეხვედრები:

1 მატჩი, 0 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება. ბურ. 0-1

17.11. მცხეთა. მცხეთა-ჰარჯი. 14:00

ვიტ ჯორჯია–სიონი

ურთიერთშეხვედრები:

48 მატჩი, 24 მოგება, 13 ფრე, 10 წაგება. ბურ. 63-38

18.11. ფოთი. ფაჯისი. 14:00

კოლხეთი–დინამო (თბ)

ურთიერთშეხვედრები:

50 მატჩი, 5 მოგება, 10 ფრე, 35 წაგება. ბურ. 32-115

დისკვალიფიკაცია:

კოლხეთი - ზ. ჩხეტიანი

18.11. ქობულეთი. ჩელე არენა 14:00

დინამო (ბთ)–ზესტაფონი

ურთიერთშეხვედრები:

7 მატჩი, 1 მოგება, 3 ფრე, 3 წაგება. ბურ. 6-8

დისკვალიფიკაცია:

დინამო (ბთ) - ი. ცანავა, ნ. ხუხია

18.11. გორი. თ. ბერაძანაძე 14:00

დილა–ზუგდიდი

ურთიერთშეხვედრები:

7 მატჩი, 2 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება. ბურ. 7-10

დისკვალიფიკაცია:

ზუგდიდი - გ. გაგელავა, ი. ქოგალია

18.11. ქუთაისი. ტორპედო 18:00

ტორპედო–მეტალურგი

ურთიერთშეხვედრები:

7 მატჩი, 2 მოგება, 1 ფრე, 4 წაგება. ბურ. 10-9

დისკვალიფიკაცია:

ტორპედო - გ. დათუნაიშვილი; მეტალურგი - მ. მახვილაძე

LIVE. რეპორტაჟი 1 არხზე

● მსაჯთა საფიხვნო

სირიელი არბიტრი საქართველოს ჩემპიონატში

აბდულა ბასლეჰლო – ასეთია სირიელი არბიტრის სახელი, რომელმაც უკვე იმსაჯა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგისა და დუბლშემადგენლობათა მატჩები, სულ მალე კი, დიდი ალბათობით, უმაღლეს ლიგაშიც ვიხილავთ.

35 წლის ფიფას არბიტრი თბილისში ცოტა ხნის წინ ჩამოვიდა. მოგეხსენებათ, სირიაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს და იქ ფეხბურთისთვის არავის სცხელა. ბასლეჰლომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილებას მიმართა და დროებით ჩვენს ქვეყანაში დასაქმება სთხოვა. ანალოგიური თხოვნით სირიის ფეხბურთის ფედერაციამ ქართულ მხარეს მიმართა.

ჩვენს სამსაჯო განყოფილებას ფიფას კატეგორიის მსაჯზე უარის თქმის საფუძველი არ ჰქონია. ფიფასგან თანხმობა ჩამოვიდა, თანაც, ბასლეჰლომ ტესტებზე მაღალი შედეგები აჩვენა და პირველი ლიგისა და დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატის შეხვედრების განსჯა ანდეს. მან იქ თავი მაღალ დონეზე წარმოაჩინა და სწორედ ამიტომ, სავარაუდოდ, სულ მალე სირიელი არბიტრი უმაღლეს ლიგასაც მოემსახურება.

მან თავიდანვე თქვა, რომ ანაზღაურება მისთვის პრიორიტეტი არ იყო და საქართველოში ჩამოსვლის მთავარ მიზნად პრაქტიკის გაგრძელება დაასახელა. თუმცა, რა თქმა უნდა, აქ უფასოდ არ იმუშავებს და ანაზღაურებას იგივე სისტემით მიიღებს, რითაც მისი ქართველი კოლეგები.

ერთი სიტყვით, წინ საინტერესო ამბავი გველის – აქამდე არასდროს ყოფილა, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს უცხოელი მსაჯები გაძღოლოდნენ. მხოლოდ ერთხელ, ისიც საქართველოს თასის ფინალი განსაჯეს თურქმა "შავოსნებმა".

გვერდი მოამზადა

ლევან ჯანეზაშვილმა

აბდულა ბასლეჰლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

აუცილებელი განმარტება

"დინამოს" ყოფილ დამფუძნებლებს კლუბის დაბრუნებაზე პრეტენზიები გაუჩნდათ – ამ თემასთან დაკავშირებით ჩემმა სტატიებმა კლუბის ხელმძღვანელობის განაწყენება გამოიწვია.

ჟურნალისტის აზრი, რაგინდ არგუმენტირებული არ უნდა იყოს ის, მაინც სუბიექტურია, ბოლოს და ბოლოს, ჟურნალისტი არ არის ამა თუ იმ მოვლენების უშუალო მონაწილე. ყოველივე აქედან გამომდინარე, შესაძლოა, რომ ჟურნალისტის ნამუშევარი არ გამოდგეს ყოვლისმომცველი და გააჩინოს კითხვები.

სწორედ ამიტომ, არასდროს მქონია იმის პრეტენზია, რომ ჩემი მოსაზრება აქსიომაა და მის გარშემო კამათი არ შეიძლება, ჟურნალისტიკა ამიტომაც არის საინტერესო და რთული ხელობა.

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ ამ კონკრეტულ და სხვა თემებზეც სიამოვნებით ვისაუბრებდი "დინამოს" პრეზიდენტთან თუ კლუბის სხვა რომელიმე ხელმძღვანელთან.

იმის თქმასაც არ მოვერიდები, რომ იყო დრო, როცა საქართველოში ძალიან ჭირდა ქალაქიდან ქალაქში მიმოსვლა, მაგრამ ჟურნალისტები მაინც გულით ემსახურებოდნენ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, "დინამოს" და სხვა ქართული გუნდების ავან-ჩავანს შეძლებისდაგვარად აშუქებდნენ, ოღონდაც მაშინ არავის არ აინტერესებდა, რის ფასად გვიჯდებოდა ეს ყველაფერი. ბეჭდვით მედიაში არც ახლაა საქმე დალხინებულად.

შეცდომები "დინამოსაც" მოსვლია და ჟურნალისტებსაც მოგვდის, ამისგან დაზღვეული არავინაა, ამოსავალი წერტილი კი ჩემთვის და ალბათ ყველა ქართული კლუბისთვის ერთმანეთში პარტნიორული დამოკიდებულებაა.

შევიტყვე, რომ "დინამოს" ხელმძღვანელობისთვის განსაკუთრებით მიუღებელი გამოდგა ჩემი წინა სტატია "დინამოზე", რომელიც გუშინდელ "ლელოში" გამოქვეყნდა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი მიზანი და სურვილი სულაც არ ყოფილა "დინამოს" ხელმძღვანელობის განაწყენება. ადამიანურად შევწუხდი, რომ კონკრეტული პიროვნებების განაწყენება გამოვიწვიე. ამ საქმეში მე არც მომრიგებელი მოსამართლე ვარ, არც პროკურორი და არც ვინმეს ადვოკატი. ამ დავაში მტყუანმართალის დადგენა ჟურნალისტიკის სფეროს სცილდება და ალბათ სასამართლოს პრეროგატივაა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დავაზე ჟურნალისტმა არ უნდა წეროს.

"ლელოს" და "დინამოს" ურთიერთობა ათწლეულებს ითვლის და ეს პარტნიორობა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს კი არა, ქართულ ფეხბურთს ემსახურებოდა. იმედია, მომავალშიც ასე იქნება.

დავით თავართქილაძე

რედაქციისაგან

„ლელოს" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა დავით თავართქილაძის წერილი სათაურით - „დინამო თბილისი" და თბილისის „დინამო" კომპრომისს უმიზნებენ". გუშინვე ცნობილი გახდა, რომ კლუბის ახლანდელი ხელმძღვანელობა უკმაყოფილო დარჩა ჟურნალისტის სუბიექტური პოზიციით. რედაქცია წყვეტს ხსენებულ თემაზე პუბლიკაციებს და იმედოვნებს, რომ საერთო საქმის სასიკეთოდ ქართული სპორტის ორ უძველეს ბრენდს - „დინამოსა" და „ლელოს" შორის ურთიერთობას ზემოხსენებული დასანანი გაუგებრობით ჩრდილი არ მიადგება.

აქტუალური ინტერვიუ

ალექსანდრე ამისულაშვილი: მოვა დრო და ყველაფერს ვიტყვი



საქართველოსა და ეგვიპტის ნაკრებების ფრედ (0:0) დასრულებული მატჩის შემდეგ, "ლელო" საქართველოს ნაკრების ცენტრალურ მცველს, ალექსანდრე ამისულაშვილს ელაპარაკა. ჯაბა კანკავას არყოფნაში, რომელიც საფრანგეთთან შესარჩევი ციკლის პირველივე შეხვედრას გამოტოვებს, თემურ ქეცბაიამ კაპიტნობა სწორედ "კრასნოდარის" მცველს ჩააბარა. ალექსანდრე ამისულაშვილს განვლილი შეხვედრის და, საერთოდ, წლის შეფასება ვთხოვეთ:

- საკმაოდ მძიმე და დაძაბული შეხვედრა იყო, რადგან ძლიერი მეტოქე გვყავდა. სიმართლე რომ ითქვას, რამდენიმე მომენტში გაგვიმართლა, ლორიამ კარგად ითამაშა და გადაგვარჩინა.

- მოგების იმედი არ გქონდათ?

- შეხვედრა ისე წარიმართა, მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ბევრი გამოუცდელი მოთამაშე გვყავდა და გოლი რომ ვერ გავიტანეთ, ალბათ, ამის მიზეზი შემადგენლობის შეუთამაშებლობაც იყო.

- შენი აზრით, რატომ უჭირს გუნდს შეტევა?

- არაკორექტული იქნებოდა, ამაზე მეპასუხა. ეს მწვრთნელის პრეროგატივაა და დარწმუნებული ვარ, თემურ ქეცბაია მუდამ ამ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრობს. ჩვენ ვცდილობთ, უფრო დაცვიდან, კონტრშეტევებზე ვითამაშოთ, მაგრამ შეტევის ორგანიზებას ნებისმიერ მეტოქესთან ვცდილობთ.

- ეს ლოგიკურიც არის. საქართველოს ისეთი ნაკრები ჰყავს, შეტევით ბევრ მეტოქეს ვერ დაუპირისპირდებით.

- ეს ცოტა უხეში შეფასებაა, მაგრამ გრანდი ნაღდად არ ვართ და ჯერ მაღალი მიზნებისთვის ვერ ვიბრძვით. თუმცა, მჯერა, რომ ნაკრებში საკმაოდ დიდი პოტენციალის ფეხბურთელები გვყავს და დროთა განმავლობაში, მას გამოვავლენთ.

- ნაკრებში ზურაბ ხიზანიშვილის არყოფნაზე რას იტყვი?

- ესეც მწვრთნელის პრეროგატივაა და ზუსტად არც ვიცი, ხიზანიშვილი რატომ არ გამოიძახეს. შესაძლოა, ამხანაგურ შეხვედრაში მწვრთნელს სხვების ნახვა სურდა. ისე, პირადად მე მიმაჩნია, რომ 30-31 წლის მოთამაშეები ჩამოსაწერები არ არიან და არც ჩამოწერენ. ეროვნული ნაკრები იმიტომაც ჰქვია, რომ ეროვნულია და არა — ახალგაზრდული. ნიჭიერი ახალგაზრდებიც უნდა იყვნენ, მაგრამ ზომიერად. დარწმუნებული ვარ, ქეცბაიაც ასე ფიქრობს, რადგან მას ყველაზე მეტად სურს ნაკრების წარმატება და გაძლიერება. ამიტომაც ატარებს ექსპერიმენტებს და ცდის ხალხს.

- "კრასნოდარის" კაპიტანი ხარ, მაგრამ ბოლო დროს შემადგენლობაში აღარ თამაშობ, ბოლო ტურში კი განაცხადშიც არ იყავი – რა ხდება შენს თავს?

- ბოლო ტურში იმიტომ არ ვითამაშე, რომ მოვიწამლე და მოედანზე გასვლა ფიზიკურად ვერ მოვახერხე. ისე, მანამდეც, რატომღაც, ბოლოს აღარ ვთამაშობდი.

- სწორედ ამის მიზეზი გვაინტერესებს.

- რაც ხდება, ეს საკმაოდ ვრცელი თემაა და ჯერჯერობით, ამაზე კომენტარი არც მსურს. მაგრამ მოვა დრო და ყველაფერს ვიტყვი.

- მართალია, რომ "კრასნოდარიდან" წასვლა გსურს?

- ჯერ წასვლაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან გუნდთან კონტრაქტი მხოლოდ სამი წლის შემდეგ მიმთავრდება.

- მაგრამ კონტრაქტის განვეტაც არ არის წარმოუდგენელი.

- რა თქმა უნდა, მაგრამ ისეთ ასაკში ვარ, დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა არ მსურს. ჯერ ყველაფერი უნდა შევაფასო, რა და როგორ იქნება, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა სასიამოვნო ნამდვილად არ არის.

მერაბ მამულაშვილი

1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

სასტარტო მოცემულობები

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2012 წელი ეგვიპტესთან ამხანაგური შეხვედრით დახურა, ნამატჩევს **თემურ ქეცბაიამ** გვითხრა, კმაყოფილი ვარო.

საქართველოს ნაკრებმა ეგვიპტესთან დიდი მონდომებით ითამაშა. ჩვენი უპირველესი გუნდი ქეცბაიას ხელში თანდათან იძენს საკუთარ სახეს. ქართველები შლეგად იბრძვიან და ეს უკვე საქმეა.

ბრძოლა, მაქსიმალური კონცენტრაცია, სრული მობილიზება – ეს მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია, თუმცა ამავე დროს ის საძირკველია, რაზეც გუნდი უნდა აშენდეს.

სწორი თამაში – თუ წინა კომპონენტს ესეც დაემატება, უკვე დიდი ნაბიჯი იქნება გადადგმული. შეიძლება ითქვას, რომ ეგვიპტესთან ჩვენმა გუნდმა სწორად ითამაშა, რაც მთავარია, გოლი არ გაუშვა ისეთი მეტოქისგან, რომელიც ბურთის ფლობასა და ტექნიკაში მნიშვნელოვნად გვჯობნიდა.

იყო ეპიზოდები, როცა ქართველები ეგვიპტელებს მისივე ნახევარზე "ახრჩობდნენ", პრესინგს ეთამაშებოდნენ. ქეცბაიამ ეს ხერხიც მოსინჯა, თუ ასეთ დროს მეტოქეს ბურთს აართმევ, ფაქტობრივად უკვე სახიფათო მომენტი გაქვს შექმნილი მის კართან.

ეგვიპტესთან არ უთამაშიათ **ლევან ყენიას, ჯანო ანანიძესა** და **თორნიკე ოქრიაშვილს** – ამ სამეულს ბურთის მოთვინიერება ჩინებულად ეხერხება და შესაბამისად, ნაკრებსაც უფრო ტექნიკური ფეხბურთის თამაშს შეაძლებინებს.

გასაგებია, რომ ფეხბურთი მხოლოდ ბრძოლა არ არის, მაგრამ აბა გაიხსენეთ ჩვენი ნაკრების ადრეული პერიოდი, როცა გუნდში არაერთი კარგი შემსრულებელი იყო, მაგრამ ნაკრებს ხშირად არ ჰყოფნიდა კონცენტრაცია.

გასახდელში მუხტის შექმნა ყველა მწვრთნელს ერთნაირად არ შეუძლია და რადგან ეგვიპტესთან და ზოგ წინა შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა მაღალი კონცენტრაციით ითამაშა, ეს ქეცბაიას აქტივში უნდა ჩაეთვალოს.

ეგვიპტესთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების დამრიგებელმა ისიც გვითხრა, მეც მინდა, რომ ჩვენმა გუნდმა უკეთესი ფეხბურთი ითამაშოსო, მაგრამ...

ფეხბურთელის აღზრდის საკითხი უკვე სხვა თემაა. ცხადია, ეს პირდაპირ კავშირშია ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებთან, მაგრამ ბავშვთა ფეხბურთს ნაკრების ხელმძღვანელობა უკვე ვეღარ გააკონტროლებს. აქ, ალბათ, ფეხბურთის ფედერაციას აქვს სამუშაო მეთოდურად.

საქართველოში უნდა იყოს ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე მეთოდური ცენტრი, ის ადგილი, სადაც ფედერაციის ხელმძღვანელობით ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელებს ჩაუტარდებათ სპეციალური ინსტრუქტაჟი თუ როგორ, რა მიმართულებით წაიყვანონ მუშაობა მოზარდებთან. ქართველებმა თუ, მაგალითად, შოტლანდიელებივით დაიწყეს თამაში და ის კარგი თვისებები დაკარგეს, რითაც ჯერ კიდევ აფასებენ ჩვენს ფეხბურთს და ფეხბურთელებს, მერე კარგად მეყოლეთ. ყოველივე ეს არ არის მხოლოდ ჟურნალისტური აზრი, ამაზე არაერთ სპეციალისტს ულაპარაკია, ასეთ მოდელს ევროპის არაერთ ქვეყანაში იყენებენ, მაგრამ ამას სჭირდება ბევრი ფული: ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე მეთოდური ცენტრი ქვეყნის ყველა რეგიონში, შესაბამისად, არცთუ ცოტა კარგი მეთოდისტი მწვრთნელი, კიდევ ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე ლიცენზირებული და ნიჭიერი მწვრთნელი, კარგი მოედნები... ყველაფერი ეს თანხებთან არის დაკავშირებული.

■ ■ ■

ამასობაში გაჩნდა იმის ნება და სიტუაცია, რომ საქართველოში ხელახლა შეიქმნას პროფესიული ფეხბურთის ლიგა. ასეთია უმაღლესი ლიგის კლუბების სურვილი. პროფლიგას არაერთი კარგი რამე აქვს, თუნდაც ის, რომ კლუბებს უკვე დამოუკიდებლად შეეძლებათ ჩემპიონატის და თასის გათამაშების ჩატარება. ოღონდაც საკითხავია, ეს პროექტი რამდენად იქნება კომერციული. უკვე არის ლაპარაკი სახელმწიფოსთან თანამშრომლობაზე და თუ საპრიზო ფონდი მსუყე და გარანტირებული იქნება, პროფლიგა ჩინებულ სასტარტო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

სახელმწიფოსთან თანამშრომლობა კი ალბათ საგადასახადო შეღავათებსაც უნდა მოიცავდეს. ჯერჯერობით ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენს მოედნის მორწყვაზეც კი არ აქვს არანაირი შეღავათი.

ერთი სიტყვით, კარგი იმპულსები მოდის. საქართველოში ფეხბურთის განვითარება ყბადაღებული თემა აღარ უნდა იყოს, საკლუბო ფეხბურთი თუ მოღონიერდა, ნაკრებიც კარგ სასტარტო მოცემულობაში აღმოჩნდება.



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიტუაცია

პრემიერლიგის დაარსებამდე წასაკითხი

რა ჭრის საქართველოში - პროექტი თუ ავტორიტეტი?



პაატა ბურჯალიანი

პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღდგენა გადაწყდა. კლუბები თბილისის "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გამართულ შეხვედრებში აქტიურად და ხალისით მონაწილეობენ, რადგან ახალი პროექტის განხორციელებას ჩემპიონატის განვითარებისა და პოპულარიზაციის იმედს უკავშირებენ.

გადაწყვეტილია, რომ ორგანიზაციას ერქმევა არა პროფესიული ფეხბურთის ლიგა, არამედ პრემიერლიგა. კლუბების წარმომადგენლები ორშაბათს კვლავ "დინამოს" ბაზაზე შეიკრიბებიან, შეთანხმებას ხელს მოაწერენ და პრემიერლიგაც დაფუძნდება, რომელსაც ჩემპიონატის ჩატარების უფლება სეზონის დასრულების შემდეგ, ან იანვრიდან გადაეცემა.

კლუბების წარმომადგენლებმა წერილით მიმართეს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას, გეგმავენ პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავჯდომარე **ლერი ხაბელოვთან** შეხვედრას და ყველა ზემოთ ნახსენების მხარდაჭერის იმედი აქვთ.

ლაპარაკია იმაზე, რომ ქართულ ფეხბურთში ფული ჩაიდოს. აქ უკვე კლუბებისა და ფედერაციის ინტერესი გადაიკვეთება, რადგან კლუბები სახელმწიფოს პრემიერლიგისთვის იმ 7 მილიონ ლარს, ან მის ნაწილს სთხოვენ, რაც აქამდე ფედერაციას გადაეცემოდა, თანხის გაკონტროლებას კი სამინისტროს სთავაზობენ.

შეგახსენებთ, რომ პროფლიგა 2004 წელს დაარსდა: **დიმიტრი რამიშვილმა, პაატა ბურჯალიანმა, რევაზ ლორთქიფანიძემ, გერა ხეცურიანმა, შოთა ბაქრაძემ, ნოდარ კაკულიამ, ბიბი ერისთავმა, დიმა ბოკერიამ, თემურ თოდრაძემ, ვახტანგ ზაალიშვილმა, ზვიად დარასელმა** მოახერხეს საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მაქსიმალური გაპიარება, თასისა ფინალური და სუპერთასის მატჩები კი ლამაზ შოუდ და ზეიმად აქციეს.

მაშინ ორგანიზაცია გამართულად მუშაობდა, საპრიზო ფონდის (200 000 ლარი) გაზრდაც იგეგმებოდა, თუმცა ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა ლიგის თავკაცთან საერთო ენა ვერ გამონახა და საბოლოოდ რამიშვილი თანამდებობიდან გადადგა. ამავე დროს, მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის სიმწარე ტელეკომპანია "კოლხიდას" მეპატრონე **ლექსო თოფურიამაც** იგრძნო და პროექტიდან კლუბებმა შემოსავალი ვერ მიიღეს. მერე ლიგის პრეზიდენტი **გია ფირცხალავა** გახდა, მაგრამ უსახსრობის გამო პროფლიგამ 2010 წელს ფუნქციონირება შეაჩერა.

მართალს ბრძანებს გორის "დილას" მენეჯერი **გია ისიანი**, რომ სერიოზულ განხილვას საჭიროებს პრემიერლიგის ბიუჯეტი, ფეხბურთელთა დაზღვევის, სპონსორებისა და სატელევიზიო უფლებების საკითხები, რა თანხას გადაუხდიან ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს...

ჩვენ დავინტერესდით, როგორ დაიწყო თავის დროზე საქმიანობა პროფლიგამ. ველაპარაკეთ ორგანიზაციის ყოფილ გენერალურ მდივანს **პაატა ბურჯალიანს**, რომელმაც პოსტზე წარმატებით იმუშავა და მრავალი პროექტი განახორციელა:

- პროფლიგის, ანუ პრემიერლიგის აღდგენა ძალიან კარგი ფაქტია. მაგრამ მნიშვნელოვანია, წინასწარ შეიქმნას ფინანსური საფუძველი, გამართულად რომ იმუშაოს და არა ხარვეზებით. როდესაც ლიგის პრეზიდენტის პოსტზე იწყებდა საქმიანობას, დიმიტრი რამიშვილმა სამი სპონსორი წინასწარ დაითანხმა: "კოკა-კოლამ" 150 ათასი დოლარი ჩარიცხა, "საქართველოს ბანკმა" – 50 ათასი, "ჯეოსელმა" კი - 100 ათასი. მაშინ ეს საკმაოდ სოლიდური თანხა იყო და ამ კომპანიების მხარდაჭერამ მოგვცა გარანტია, ჩემპიონატის დამოუკიდებლად ჩატარება რომ მოგვეხერხებინა.

- მაგრამ სოლიდური საპრიზო ფონდის შესაქმნელად ეს 300 ათასი დოლარიც არ აღმოჩნდა საკმარისი.

- მეც ამას ვამბობ - ჩემპიონატის მომსახურებას უდიდესი ხარჯი სჭირდება და მყარი ფინანსური საფუძვლის ჩამოყალიბება ამიტომ არის აუცილებელი.

პრემიერლიგა არის კომერციული სტრუქტურა, რომელიც სხვების მოგებაზე მუშაობს. ამიტომ მედიასაშუალებებთან განსაკუთრებით აქტიურად უნდა ითანამშრომლოს, ეროვნულ ჩემპიონატში მაყურებელი რომ მიიზიდოს და ტურნირისა და გამორჩეული ფეხბურთელების პოპულარობას შეუწყოს ხელი.

- თქვენი გადასახედიდან, დღევანდელ საქართველოში პროფლიგის პროექტი გაამართლებს?

- ძლიერი ფინანსური პარტნიორების გარდა, ჩემი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, ვის აირჩევენ პრემიერლიგის პრეზიდენტად. ეს საქართველოა და არა — ამერიკა, ან ნორვეგია, სადაც ბიზნესმენი პასუხს პროექტის მიხედვით ამბობს. აქ მთავარია, წინადადებით მისულ პიროვნებას რა ავტორიტეტი და კავშირები გააჩნია. დიმა რამიშვილს ავტორიტეტი რომ ჰქონდა, თანხა ამიტომაც მიიზიდა.

და კიდევ: ფედერაციის პროექტებს ფიფა და უეფა გარანტირებულად აფინანსებს და იქ მუშაობა გაცილებით ადვილია. ფედერაციისგან გასხვავებით, პრემიერლიგას ასეთი დამფინანსებელი არ ეყოლება, რადგან ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზატორია. ამიტომ მნიშვნელოვანია ბიზნესთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან პარტნიორობა, ფეხბურთის ფედერაციასთან კარგი ურთიერთობის გარეშე კი, პრემიერლიგის წარმატებული საქმიანობა წარმოუდგენელი იქნება, რადგან ქიშპით ყველაფერი წყალში ჩაიყრება.

მერაბ მამულაშვილი

● სავარაუდო ტრანსფერი

ოთარ მარცვალაძე (მარჯვნივ)

მარცვალაძე დილას შეუერთდა

როგორც გორის "დილას" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, გუნდთან ერთად **ოთარ მარცვალაძე** ვარჯიშობს. 28 წლის ქართველი თავდამსხმელი ბოლოს რუსული "კრასნოდარის" ღირსებას იცავდა, მაგრამ საზარდულის ტრავმის გამო ამ კლუბთან კონტრაქტის განყვეტა მოუწია.

მარცვალაძემ ტრავმისშემდგომი რეაბილიტაციის პროცესი უკვე დასრულა და ახლა "დილაში" შეეცდება სასურველი კონდიციების დაბრუნებას. ჯერჯერობით, გაურკვეველია, გააფორმებს თუ არა მარცვალაძე "დილასთან" კონტრაქტს.

ლევან ჯანეზაშვილი

● ინტერვიუ

ნუგზარ ლობჟანიძე: საქმე თავიდან ბოლომდეა გამოსასწორებელი

ხიზანიშვილი ნაკრებში უნდა იყოს

90-იან წლებში ნუგზარ ლობჟანიძე საქართველოს ნაკრების მცველი გახლდათ. მას ძალიან ბევრი მატჩი არ უთამაშია ეროვნულ გუნდში, თუმცა, როცა მოედანზე გადიოდა, ნაკრებისთვის თავს არ ზოგავდა. ლობჟანიძე წლობით გამოდიოდა თბილისის "დინამოში", ევროტურნირებზეც გამოუჩენია თავი საიმედო თამაშით. ლობჟანიძეს ერთი სეზონი მოსკოვის ცსკა-შიც უთამაშია. მოკლედ, ფეხბურთში არცთუ ცოტა უნახავს. ლობჟანიძე ახლა რუსთავში სპორტის სამსახურს ხელმძღანელობს. მას საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე, ზოგადად ქართულ ფეხბურთზე ვესაუბრეთ...

- საქართველოს ამ ნაკრებზე საკუთარი პოზიცია არაერთმა სპეციალისტმა, ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა დააფიქსირა. თქვენ რას გვეტყოდით ყოველივე ამაზე?

- ადრეც ამ აზრზე ვიყავი და ახლაც იგივეს ვიტყვი – საჭიროა ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, ერთ და ორ წელიწადში ვერ ავაშენებთ ისეთ ნაკრებს, რომელსაც მნიშვნელოვანი წარმატებები ექნება. ყოველთვის იქნება თაობათა ცვლა, ჩავარდნები, მაგრამ სწორი და მიზანმიმართული მუშაობა აუცილებლად მოიტანს კარგ შედეგს. არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომლის ეროვნული ჩემპიონატი ისეთ დღეშია, როგორც ჩვენი და მიუხედავად ამისა, მის ნაკრებს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს. ასე რომ, ნაკრების წინსვლას ყველანაირმა ფაქტორმა უნდა შეუწყოს ხელი. რამდენიმე წლის წინათ დავიწყეთ მილიონების ხარჯვა ეროვნული ნაკრებისთვის და ამან შედეგი არ მოგვიტანა, ასეთ გზას გრძელვადიანი პროგრამა სჯობია. დღეს დაახლოებით ამგვარი ვითარებაა: 10 ნიჭიერი ბავშვიდან 14 წლამდე ერთი ნიჭიერი მიდის და ისიც ან ითამაშებს მაღალ დონეზე და ან – არა. საქმე ისე უნდა წავიყვანოთ, რომ 10 ნიჭიერიდან რვა ნიჭიერი მივიდეს 14 წლის ასაკამდე. ახლა კი, რატომ უნდა მოვთხოვოთ ნაკრებს მაღალი შედეგი, როცა საფეხბურთო მეურნეობა ფაქტობრივად მოშლილია? უნდა შემუშავდეს გრძელვადიანი პროგრამა და უნდა მოიძებნოს ისეთი კვალიფიციური კადრი, ვინც ამ პროგრამას უხელმძღვანელებს, რა თქმა უნდა, ამ პროგრამის მუშაობაში ეროვნული ნაკრების მწვრთნელიც უნდა იყოს ჩართული. 90-იან წლებში საბერძნეთში მომინია ნასვლამ, მაშინ იქ თითქმის ყველა გუნდი 3-5-2 სისტემით თამაშობდა, რადგან ასეთი იყო ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივა, საბერძნეთის ეროვნული ნაკრებიც იმ დროს ასეთი სქემით თამაშობდა.

- კონკრეტულ კითხვას დაგისვამთ – როგორ ფიქრობთ, ზურაბ ხიზანიშვილმა ამოწურა საკუთარი თავი ნაკრებში?

- ყველა თამაშს სტაბილურად ვერავინ თამაშობს და ყველა ფეხბურთელს ემართება ასეთი რამ – ჯანზე ხარ, არაფერი არ განუხებს, მაგრამ ფსიქოლოგიური გადაღლა გემართება, რაც თამაშზეც აისახება. ვფიქრობ, ხიზანიშვილი უნდა იყოს ნაკრებში. 2-3 გამოცდილი ფეხბურთელი ყოველთვის საჭიროა გუნდში, თუნდაც იმისთვის, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გაუწიოს კარგი სამსახური.

- გურამ კაშიაზეც გკითხავთ. ეგვიპტესთან მან საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა, მარჯვენა მცველადაც გვინახავს – რა პოზიცია მიგაჩნიათ მისთვის ყველაზე ოპტიმალურად?

- როცა კაშია "ვიტესში" გადავიდა, ჯერ მარჯვენა მცველად გაამწესეს, მაგრამ მერე შეამჩნიეს, რომ ის უფრო ცენტრალური მცველია.

- საქართველოს ნაკრების განაპირა მცველებზე რას იტყოდით, რამდენად პრობლემატურად მიგაჩნიათ ეს პოზიცია?

- საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებში ახლა ექსტრა კლასის ფეხბურთელები არ გვყავს და არც გვეყოლება, თუ სწორად არ ვიმუშავებთ. მხოლოდ დღევანდელი დღით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, გლობალურად უნდა მივუდგეთ საკითხს. ბავშვთა ფეხბურთი, ინფრასტრუქტურა, ეროვნული ჩემპიონატი – ამაზე თუ არ ვიზრუნეთ, არაფერი არ გამოვა, 4-5 წელი თუ სწორად განვვითარდებით, მერეღა შეიძლება ფიქრი სერიოზულ წარმატებებზე.

- 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ლატვიამ ითამაშა და მგონი, ლატვიის იმ ნაკრებს ექსტრა კლასის ფეხბურთელები არ ჰყოლია...

- ლატვიამ ამ წარმატებას წლობით გაწეული მუშაობის შედეგად მიაღწია.

- ყველაზე უფრო პრობლემატური მაინც რა მიგაჩნიათ ქართულ ფეხბურთში?

- საქმე თავიდან ბოლომდეა გამოსასწორებელი. თუ ეს არ გავაკეთეთ, შესაძლოა, ამ დონეზე უფრო დაბლა აღმოვჩნდეთ. დააკვირდით, რა ტემპით მიეწოდებიან ახალგაზრდა ფეხბურთელები უმაღლესი ლიგის გუნდებს, ისიც სათქმელია, ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელს ჯერ საქართველოში რომ არ მიუღწევია არაფრისთვის და უკვე აქეთ-იქეთ დაატარებენ უცხოურ კლუბებში...

დავით თავართქილაძე

● მეტოქის ბანაკში

ვიგალი კუტუზოვი: ჩვენი ნაკრები ხასიათს მიფუჭებს

14 ნოემბერს, ამხანაგური შეხვედრა შესარჩევ ციკლში ჩვენმა მეტოქე ბელარუსმაც ჩაატარა – **გიორგი კონდრატიევის** განვრთნილებმა გასვლაზე თელ-ავივის "რამათ განაზე" ისრაელს 2:1 მოუგეს. 21-ე წუთზე ებრაელები **ომერ დამარიმ** დააწინაურა, მაგრამ 45-ე წუთზე **სერგეი კისლიაკმა** შესანიშნავი შორეული დარტყმით ანგარიში გაათანაბრა, 46-ე წუთზე კი **სერგეი ბალანოვიჩმა** 30-ოდე მეტრიდან გასროლით ისრაელის მეკარე **დუდუ ავატე** სახტად დატოვა.

კონდრატიევის გუნდზე საინტერესო წერილი იყო ინტერნეტ-გამოცემა "სპორტპანორამაში", რომლის ფრაგმენტებსაც გთავაზობთ.

"არის შედეგი, ეს კარგია. გუნდმა ორი აბსოლუტურად განსხვავებული ტაიმი ითამაშა. მაგრამ ამჟამინდელი ნაკრები არაპროგნოზირებადი, უსისტემოა და მხოლოდ განწყობის მიხედვით თამაშობს. ხასიათი კი ნაკრებს ორსული ქალივით ეცვლება... გადამწყვეტი 10-იანის პოზიციაზე კისლიაკის გამოჩენა იყო. ბრესანმა ბელარუსის ნაკრების შეტევის ხაზს აზრი შემატა. ბალანოვიჩი ახალ კლუბს ეძებს, მინსკის "დინამოს" უარი უთხრა, ბატეს არ სჭირდება და ისრაელში განსაკუთრებული მონდომებითა და გოლით უცხოური კლუბებისთვის "სასაქონლე სახე" მიიღო... კონდრატიევის ნაკრები პარტიზანულ რაზმს ემსგავსება, რადგან დაცვიდან თამაშობს. მით უფრო, 38 წლის ვეტერან სერგეი კულჩიზე უარის თქმის შემდეგ, რომელიც მოედნის ცენტრში თამაშს ალაგებდა".

მატჩის შემდეგ გიორგი კონდრატიევმა ახსნა, შედეგის მიღწევას როგორ აპირებს: *"გამვებული გოლის შემდეგ გუნდმა მობილიზება და თამაშის შემოტრიალება მოახერხა. შესვენებაზე ბიჭებს შეტევაში თამამად წასვლა ვურჩიე, ეს იყო მიზეზი, რის გამოც მეორე ტაიმში გაცილებით მეტი დრო გავატარეთ შეტევებში. თუ არ დაარტყამ, ვერც გაიტან და ბიჭებს ესეც ვუთხარი. შესარჩევი ციკლის დარჩენილ შეხვედრებშიც ასე უნდა ვითამაშოთ".*

ნაკრების მთავარი მწვრთნელის ოპტიმიზმს არ იზიარებს თავდამსხმელი **ვიტალი კუტუზოვი**, რომელიც ერთი ხანობა "მილანშიც" ირიცხებოდა, თამაშობდა ლისაბონის "სპორტინგში", "სამპდორიაში", "პარმაში", მაგრამ შარშან "ბარიში" დაშავდა, ბოლო ერთი წელია, უგუნდოდ არის და ნაკრებს ვეღარ ეხმარება.

"შესარჩევ ციკლში ნაკრების გამოსვლამ სევდიან ხასიათზე დამაყენა. კონდრატიევის გუნდი წინამორბედი ბერნდ შტანგეს ნაკრებზე სუსტია – შედეგებით, ორგანიზაციით, მომზადების სისტემით. ეს ყველაფერი ფეხბურთელებისგან ვიცი და აშკარაა, ნაკრებს მძიმე დღეები უდგას. ვითარება მწვრთნელის შეუცვლელად არ გამოსწორდება. როგორც ვხედავ, კონდრატიევი აკეთებს იმას, რასაც ეუბნებიან. შტანგე უფრო დამოუკიდებელი ფიგურა იყო....

ორი მოთამაშე რომ გამოგვაკლდება, შემცვლელებს ვერ ვპოულობთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ისედაც ძალიან მცირე იყო, მაგრამ ლამაზად თამაშის იმედი მქონდა, ვინმე თავს გამოიჩენდა და ძლიერ კლუბში მოხვდებოდა. შტანგეს დროს ყველაზე ლამაზ ფეხბურთს ვაჩვენებდით, რასაც ახლა ვერ ვახერხებთ.

... კონდრატიევმა გაახალგაზრდავება დაიწყო. გასაგებია, წლებთან ერთად, სისწრაფე არ გემატება, მაგრამ ვეტერანებს გამოცდილება გვაქვს, რის ხარჯზეც სხვა ნაკლის კომპენსირებას ვახერხებთ. მიმაჩნია, რომ დღევანდელ ნაკრებს სწორედ ეს გამოცდილებისა და ახალგაზრდების გონივრული სინთეზი აკლია" – ამბობს კუტუზოვი.

მერაბ მამულაშვილი

დღეს ფუტსალის ბურთი

დღეს, ფუტსალში საქართველოს XX ჩემპიონატის I ნრის II ტურის შეხვედრები გაიმართება.

ეს ტურიც თბილისის სპორტკომპლექს "არენაში" გაიმართება.

თსუ – "სოკარი"

"იბერია სტარი" - GIEC

"თელასი" – თელავის უნივერსიტეტი

ტურის ცენტრალური შეხვედრა თსუ-სა და "სოკარის" დაპირიპირებაა – მატჩი 14 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტურის წინ

ბავარიული დერბიც დერბია?

რა შანსი აქვს ნიურნბერგს რეკორდმაისტერთან? ტოპ-მატჩი ლევერკუზენში გაიმართება

დღეს ნიურნბერგში დიდი მატჩია: ფრანკები ბავარიულ დერბიში თვით მიუნხენის „ბაიერნს“ მასპინძლობენ და მერე რა, რომ ძალთა უთანაბრობა აშკარაა - ბავარიული დერბიც დერბია. ჩემპიონ „დორტმუნდს“ იოლად შესასრულებელი საშინაო დავალება აქვს: „ბორუსია“ „ფიურტს“ მასპინძლობს. „გლადბახს“ მისთვის რთულ მეტოქესთან, „შტუტგარტთან“ ექნება საქმე, მე-12 ტურის ტოპ-მატჩი კი საღამოსაა დაგეგმილი: „ლევერკუზენი“ „შალკეს“ უმასპინძლებს. ხვალ დაგეგმილი ორივე მატჩის მთავარი სალაპარაკო თემა კლაუს ალოფსი იქნება...

ნიურნბერგმა ბაიერნი ბოლოს 2007 წელს დაამარცხა. მაშინდელი შემადგენლობიდან დღეს ნიურნბერგში რაფაელ შეფერი და ხავიერ პინოლა თამაშობენ

დღეს

ბორუსია (დ)-ფიურტი 18:30

დისკვალიფიკაცია: კლაინე, პეკოვიჩი (ორივე ფიურტი)

ტრავმა: ოვომოიელა, კელი - ნდოიე, მიკელსენი, ტირალა, ფალი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +0=3-3

ბუნდესლიგაში არ უთამაშიათ

ბორუსია (მ)-შტუტგარტი 18:30

ტრავმა: ბლასვიხი, დემსი, იუნესი, ლ. დეიონგი - ჰუგლანდი, დიდავი, კაკაუ, თორუნი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 84 თამაში: +23=26-35, (108:146)

პანოვერი-ფრაიბურგი 18:30

ტრავმა: ფელიპე, შულცე, ანდრეასენი, და სილვა, პინტუ - გინტერი, ჰეინი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 10 თამაში: +5=4-1, (20:11)

ნიურნბერგი-ბაიერნი 18:30

დისკვალიფიკაცია: ბალიჩი (ნიურნბერგი)

ტრავმა: შტეფანი, კოენი, ჰლუშეკი, მენდლერი - რედერი, ბოატენგი, ჩანი, რობენი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 56 თამაში: +11=11-34, (61:100)

ჰამბურგი-მაინცი 18:30

დისკვალიფიკაცია: შარნერი - ბაუმგარტლინგერი

ტრავმა: რაიკოვიჩი, ილიჩევიჩი, ირაჩეკი, ნიორგაარდი, სალა - ბუნგერტი, ჩუპომოტინგი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 12 თამაში: +4=5-3, (13:12)

აინტრახტი-აუგსბურგი 18:30

ტრავმა: ამედიკი - იენტცში, ვერჰეგი, მორავეკი, სიო

ბოლო მატჩი

+2=1-3 +1=2-3

ბუნდესლიგაში არ უთამაშიათ

ლევერკუზენი-შალკე 21:30

ტრავმა: კადლეცი, შვააბი, ბელარაბი, სემი - მეტცელდერი, უჩიდა, ჰიოგერი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 56 თამაში: +25=17-14, (96:78)

ხვალ

ვერდერი-ფორტუნა 18:30

ტრავმა: ფრიტცი - ბრუნო სუარესი, მალეზასი, შაჰინი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 42 თამაში: +18=11-13, (76:65)

ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი 20:30

დისკვალიფიკაცია: კომპერი (ჰოფენჰაიმი)

ტრავმა: კრისი, თესკერი, ვესტერგაარდი, ვუკჩევიჩი - პილარი, ჰელმესი

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 8 თამაში: +3=1-4, (12:19)

შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

	მ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	11	10	0	1	32-4	30
2. შალკე	11	7	2	2	22-12	23
3. აინტრახტი	11	6	2	3	21-16	20
4. ბორუსია (დ)	11	5	4	2	23-12	19
5. ლევერკუზენი	11	5	3	3	19-17	18
6. ჰანოვერი	11	5	2	4	24-18	17
7. მაინცი	11	5	2	4	15-13	17
8. ბორუსია (მ)	11	4	4	3	17-21	16
9. ვერდერი	11	4	2	5	18-17	14
10. ჰამბურგი	11	4	2	5	11-14	14
11. ფრაიბურგი	11	3	4	4	14-13	13
12. შტუტგარტი	11	3	4	4	12-19	13
13. ჰოფენჰაიმი	11	3	3	5	17-23	12
14. ფორტუნა	11	2	5	4	10-16	11
15. ნიურნბერგი	11	3	2	6	9-17	11
16. ვოლფსბურგი	11	3	2	6	9-18	11
17. ფიურტი	11	1	4	6	9-20	7
18. აუგსბურგი	11	1	3	7	6-18	6

ბომბარდირები: 8 – მანჯუკიჩი (ბაიერნი), სალაი (მაინცი); 7 – კისლინგი (ლევერკუზენი), ა. მაიერი (აინტრახტი), თ. მიულერი (ბაიერნი); 6 – ჰანტი (ვერდერი), იბიშევიჩი (შტუტგარტი).

შტუტგარტი გლადბახისთვის არასასურველი სტუმარია

წინა ტურამდე „შტუტგარტს“ 7-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, რომელიც კვირას „ჰანოვერთან“ 2:4-ით შეწყდა. შესაბამისად, **ბრუნო ლაბადიას** გუნდი ისევ პრობლემურ მდგომარეობაშია - შვაბებს სარეეგაციო მე-16 ადგილამდე მხოლოდ 2 ქულა აშორებთ. „შტუტგარტი“ დღეს მიონხენგლადბახში ჩადის. „გლადბახმა“ ბუნდესლიგაში ზედიზედ ორი გასვლითი მატჩი მოიგო, ევროპალიგაზე კი მარსელში 2:2 დაააფიქსირა, რამაც **ლუსიენ ფავრის** გუნდს თავდაჯერება შემატა. შვეიცარიელი სპეციალისტის აზრით, პროგრესი პირველ რიგში ტაქტიკური გადაადგილების დამსახურებაა: ფავრმა **პატრიკ ჰერმანი** მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში გადასწია, სადაც ეს უკანასკნელი გაცილებით უკეთ ათამაშდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს „გლადბახისთვის“ შტუტგარტი არასასურველი სტუმარია: ბოლო 14 საშინაო მატჩიდან „ბორუსიამ“ შვაბენლანდური კლუბი მხოლოდ ერთხელ დაამარცხა.

საათი გაჩერდა, ისტორია გრძელდება

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „ჰამბურგის“ არენაზე გაფუჭდა ლეგენდარული საათი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ითვლიდა თითოეულ წამს, წუთს, საათს, დღეს და წელიწადს მას მერე, რაც ჩრდილოგერმანული კლუბი ბუნდესლიგაში თამაშობს და როგორც იცით, „ჰამბურგი“ ერთადერთი გუნდია, რომელიც პირველი ბუნდესლიგიდან არასდროს გავარდნილა. საათის შეკეთება შეუძლებელია - ან თანამედროვე, ციფრული საათით უნდა შეცვალონ, ანაც საერთოდ უნდა მოაშორონ. სანამ კლუბი გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მთავარ მწვრთნელ **ტორსტენ ფინკს** სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს გადასაჭრელი. „ბაიერნთან“ 0:3-ს ფრაიბურგში 0:0 და შარნერის გაძევება მოჰყვა. დღეს HSV-ს სტუმარი „მაინცია“ - გუნდი, რომელსაც შინ ზედიზედ ხუთი მოგება აქვს, სტუმრად კი მხოლოდ ერთი.

სლომკას დიდი არჩევანი

„ჰანოვერმა“ წინა კვირას „შტუტგარტში“ თამაში ზღაპრულად შეატრიალა, რაც სათადარიგო ფეხბურთელების დამსახურება გახლდათ - შეცვლაზე შესულმა **შლაუდრაფმა** და **აბდელაუმ** სამი გოლი გაიტანეს, რაც ჯოკერ-გოლების კუთხით ბუნდესლიგის რეკორდია. ახლა საკითხავი ისაა, ვის ათამაშებს „ჰანოვერის“ თავკაცი **მირკო სლომკა** „ფრაიბურგთან“. მას განსაკუთრებით დიდი არჩევანი წინა ხაზში აქვს - აბდელაუ, **დიუფი, შლაუდრაფი, ია კონანი (ზობიხი** ტრავმირებულია). „ფრაიბურგს“ **გინტერი** დაუშავდა, რომელიც წელს ვეღარ ითამაშებს. სამაგიეროდ, ლაზარეთიდან დაბრუნდა **იან როზენტალი**, რომელიც ყოფილი ჰანოვერელია.

დამთავრდა თუ არა „აინტრახტის“ პარპაში საბოლოოდ? ამ კითხვას პასუხს დღევანდელი მატჩი გასცემს: **არმინ ფეეს** გუნდი ბოლოადგილოსან „აუგსბურგს“ მასპინძლობს. ფრანკ-ფურტელებმა ბოლო სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა აიღეს, თუმცა ამ სამ მატჩში იყო „ბაიერნთან“ 0:2-იც, რომელშიც ფეეს შეგირდებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

ცენტრალური მატჩი ლევერკუზენში

„ბაიერნის“ დამარცხების შემდეგ „ლევერკუზენს“ კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ „ბაიერმა“ ვერ დაამტკიცა, რომ რეკორდმაისტერს ის მარცხი ლოგიკურად აგემა. წინა ტურში „ლევერკუზენს“ „ვოლფსბურგის“ დამარცხებით მესამე ადგილზე გადასვლა შეეძლო, რის შემდეგაც (დღეს) „შალკეს“ შეხვდებოდა და მეორე ადგილს დაუმიზნებდა, მაგრამ... ლევერკუზენელები „ვოლფსბურგში“ უშანსოდ დამარცხდნენ (1:3).

„ლევერკუზენისა“ და „შალკეს“ დღევანდელი დაპირისპირება ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ჯახია - გელზენკირხენელებს არ უნდათ, რომ „ბაიერნს“ ჩამორჩნენ, „ფარმაცევტების“ მიზანი კი მინიმუმ საუკეთესო ექვსეულში დარჩენაა. თუ „შალკე“ მოიგებს, ეს გელზენკირხენელთა თავკაცი **ჰუუბ სტევესისთვის** „შალკეს“ მწვრთნელის რანგში საიუბილეო, მე-100 გამარჯვება იქნება.

ალოფსი აქ, ალოფსი იქ

ხვალ ორი მატჩია: „ვერდერი“ „ფორტუნას“ მასპინძლობს, ხოლო „ვოლფსბურგი“ კი „ჰოფენჰაიმს“ სტუმრობს. ორივე შეხვედრის მთავარი თემა **კლაუს ალოფსი** იქნება, რომელმაც 13-წლიანი მოლვაწეობის შემდეგ ბრემენული კლუბის სპორტული დირექტორის პოსტი დატოვა და „ვოლფსბურგის“ მენეჯერად დაინიშნა. ხვალ ალოფსი „ვოლფსბურგის“ სათადარიგოთა სკამზე, დროებითი მწვრთნელის, **ლორენც-გიუნტერ კიოსტნერის** გვერდით დაიკავებს ადგილს...

რა შანსი აქვს „ნიურნბერგს“ ბრწყინვალე ფორმაში მყოფ „ბაიერნთან“? ლოგიკურად, არანაირი, მაგრამ თუ ნიურნბერგში გამართულ ბოლო ბავარიულ დერბებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ფრანკები უშანსოდ არ არიან. შარშან **დიტერ ჰეკინგის** გუნდმა „ბაიერნთან“ საკუთარ მოედანზე 0:1 წააგო, მაგრამ მანამდე „ფრანკენშტადიონზე“ რეკორდმაისტერს ზედიზედ სამჯერ დაუზავდა (სამივე შეხვედრა 1:1 დასრულდა), ხოლო 2007 წლის 2 თებერვალს კი „ნიურნბერგმა“ „ბაიერნი“ სულაც 3:0 დაამარცხა. მაშინდელი შემადგენლობიდან ფრანკებს მეკარე **რაფაელ შეფერი** და მარცხენა მცველი **ხავიერ პინოლა** შემორჩათ. შეფერი დღეს აუცილებლად ითამაშებს, პინოლას ასპარეზობა კი მცირე ტრავმის გამო კითხვის ნიშნის ქვეშაა.

„ბაიერნს“ სტუმრად ხუთივე თამაში მოგებული აქვს, რიბერი და კომპანია შესანიშნავ ფორმაში არიან და მიუნხენელთათვის სულ ერთია, ვინ ითამაშებს მეტოქის ბანაკში. თანაც, „ბაიერნს“ **მარიო გომესიც** გამოუჯანმრთელდა, რომელიც სავარაუდოდ განაცხადში იქნება და შეიძლება, მეორე ტაიმში შეცვლაზე ითამაშოს. გომესმა შუა კვირაში მეექვსელიგელ „ფალკე მარკტ შვაბენთან“ ტესტ-მატჩში (6:0) იასპარეზა და 4 გოლი გაიტანა. ფაქტია, რომ გომესს გუნდში დიდი კონკურენცია დახვდა: „ბაიერნის“ პირველი თავდამსხმელი ახლა **მარიო მანჯუკიჩია** და არ უნდა დაგვავიწყდეს **კლაუდიო პისაროც**, რომელიც ხორვატი გოლეადორის შემცვლელის სტატუსს ამართლებს.

დორტმუნდის იოლი საშინაო დავალება

წარმატების მიღწევის „ნიურნბერგზე“ გაცილებით მცირე შანსი აქვს „ფიურტს“, რადგან **მაიკ ბიუსკენსის** ბიჭები დორტმუნდში ჩადიან და ბრძოლა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების, **კლაინესა** და **პეკოვიჩის** (ორივე დისკვალიფიცირებულია) გარეშე მოუწევთ. „ფიურტის“ სასტარტოში შეიძლება გამოჩნდეს 21 წლის **ლასე სობიეხი**, რომელიც „დორტმუნდის“ აღზრდილია, „ფიურტში“ კი „ზანკტ პაულის“ გავლით მოხვდა. **იურგენ კლოპის** ბიჭებმა წინა ტურში „აუგსბურგი“ 3:1 დაამარცხეს და ცხადია, „ფიურტთანაც“ მხოლოდ სამი ქულა დააკმაყოფილებთ, რადგან „ბაიერნს“ 11 ქულით ჩამორჩებიან.

● ამბები

ვუკჩევიჩი კოშიდან გამოვიდა

„ჰოფენჰაიმის“ ფეხბურთელი **ბორის ვუკჩევიჩი**, რომელიც 2 თვის წინ მძიმე ავარიაში მოყვა, გუშინ კომიდან გამოვიდა. 22 წლის ფეხბურთელს გონი დაუბრუნდა და ახლობლებთან კონტაქტსაც ახერხებს, თუმცა ექიმები მის გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებით კონკრეტულ პროგნოზებს ჯერ მაინც ვერ აკეთებენ.

ჰუნტელაარი ინგლისში?

ინგლისური მედიის ცნობით, „არსენალის“, „ლივერპულისა“ და „ჩელსის“ ხელმძღვანელები „შალკეს“ ჰოლანდიელი თავდამსხმელის, **კლაას-იან ჰუნტელაარის** გადაბირებაზე სერიოზულად ფიქრობენ. 29 წლის ჰოლანდიელს გელზენკირხენელებთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება, ახალი ხელშეკრულება კი ჯერ არ გაუფორმებია. „სანის“ ცნობით, ზემოთ ჩამოთვლილი ინგლისური კლუბები მზად არიან, იანვარში „შალკეს“ ჰუნტელაარის საანცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაუხადონ.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. XII ტურის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიძულვილი და დერბი

ტურის უმთავრესი დაპირისპირება "არსენალი"-"ტოტენჰემის" ლონდონური მატჩი იქნება. გარდა იმისა, რომ მეტოქეები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ერთმანეთის უშუალო კონკურენტები არიან, მატჩს დამატებით ინტრიგას მათ შორის არსებული ისტორიული შუღლიც მატებს, რაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ალბათ ძნელად თუ მოიძებნებიან გუნდები, რომელთაც ერთმანეთი ასე ძალიან სძულდეთ. ჩრდილოლონდონური დერბის გარდა XII ტური სხვა საინტერესო თამაშებსაც უმასპინძლებს.

ჩრდილოლონდონური დერბის მთავარსარდლები: არსენ ვენგერი და ანდრე ვილაშ ბოაში

დღეს

არსენალი-ტოტენჰემი 16:45

ტრავმა: როსიცკი, ფაბიანსკი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, დიაბი, ჟერვინიო, გიბსი – კაბული, პარკერი, დემბელე, სანდრო, ასუეკოტო

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 155 თამაში: +63=43-49 (245-216)

ლივერპული-უიგანი 19:00

ტრავმა: რეინა, ბორინი, კელი, ლუკასი, ჯონსონი – მიაიჩი, კრუსატი, მაკარტური, ალკარასი

ბოლო 6 მატჩი

+2=4-0 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 14 თამაში: +7=5-2 (21-10)

სიტი-ასტონ ვილა 19:00

ტრავმა: რიჩარდსი, მილნერი, ლესკოტი, როდუელი – ჰერდი, დანი, გარდნერი, ბეიკერი, ბენეტი, ნზოგბია, ბენტი, პეტროვი

ბოლო 6 მატჩი

+5=1-0 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 144 თამაში: +58=38-48 (227-208)

ნიუკასლი-სუონსი 19:00

ტრავმა: ბა, ამეობი, სიმპსონი, ვუკჩიჩი, ტეილორი, გოსლინგი, პერჩი – ფლორესი, ბარტლი, ვორმი, ტეილორი

დისკვალიფიკაცია: კოლოჩინი -

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 4 თამაში: +2=2-0 (6-1)

ქუინზ პარკი-საუთჰემპტ. 19:00

ტრავმა: დაიერი, ჯონსონი, ფაბიო, პარკი – რიჩარდსონი

დისკვალიფიკაცია: მბია -

ბოლო 6 მატჩი

+0=2-4 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 40 თამაში: +16=10-14 (57-58)

რედინგი-ევერტონი 19:00

ტრავმა: გატრი, მაკარტი, კარაჩანი – ჰიბერტი, ანიჩებე, გიბსონი

ბოლო 6 მატჩი

+0=5-1 +2=4-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 5 თამაში: +2=1-2 (3-4)

ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი 19:00

ტრავმა: რიდი, ფოსტერი – ლემპარდი, კოული

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 96 თამაში: +31=23-42 (143-164)

ნორვიჩი-იუნაიტედი 21:30

ტრავმა: კეინი, მარტინი – ჯონსი, ვიდიჩი, კაგავა, ევანსი, ნანი, რუნი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 44 თამაში: +8=10-26 (33-70)

ხვალ

ფულჰემი-სანდერლენდი 20:00

ტრავმა: დიარა, დევისი – მაკფადენი, ბრემბლი, ბრაუნი

დისკვალიფიკაცია: ბერდი - გარდნერი

ბოლო 6 მატჩი

+1=4-1 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +12=10-8 (35-30)

ზეგ

ვესტ ჰემი-სტოკ სიტი 00:00

ტრავმა: დიარა, ტომკინსი, კოლინსონი, ტეილორი, ვას ტე, დემელი, კოლინსი – ოუენი, დელაპი, უილსონი

დისკვალიფიკაცია: - უაიტჰედი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 48 თამაში: +19=9-20 (70-66)

შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუნაიტედი	11	9	0	2	29-16	27
2. სიტი	11	7	4	0	20-10	25
3. ჩელსი	11	7	3	1	23-11	24
4. ევერტონი	11	5	5	1	21-14	20
5. ვესტ ბრომვიჩი	11	6	2	3	17-12	20
6. ვესტ ჰემი	11	5	3	3	14-11	18
7. ტოტენჰემი	11	5	2	4	18-16	17
8. არსენალი	11	4	4	3	18-11	16
9. ფულჰემი	11	4	4	3	24-19	16
10. ნიუკასლი	11	3	5	3	12-15	14
11. სუონსი	11	3	4	4	16-15	13
12. სტოკ სიტი	11	2	6	3	9-10	12
13. ლივერპული	11	2	6	3	14-16	12
14. უიგანი	11	3	2	6	12-18	11
15. ნორვიჩი	11	2	5	4	8-18	11
16. სანდერლენდი	10	1	6	3	7-11	9
17. ასტონ ვილა	11	2	3	6	10-17	9
18. რედინგი	10	0	6	4	12-18	6
19. საუთჰემპტონი	11	1	2	8	15-29	5
20. ქუინზ პარკი	11	0	4	7	8-20	4

ბომბარდირები: 8 - ლუის სუარესი (ლივერპული), რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 7 - დემბა ბა (ნიუკასლი), 6 - მიგელ მიჩუ (სუონსი), ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი), მარუან ფელაინი (ევერტონი)

ის იყო, "ტოტენჰემი" თითქოს ფორმაში შევიდა, რომ მიჯრით მიაწყო წარუმატებელი თამაშები და ლიდერთა ჯგუფს კიდევ ერთხელ დაშორდა. ცუდ ფორმაშია "არსენალიც", რაც მეტოქეთა შანსებს მეტ-ნაკლებად ათანაბრებს. აი, რა თქვა **ანდრე ვილაშ ბოაშმა** მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე: *"პირველი სამეულისთვის მებრძოლი გუნდები უკვე სერიოზულად მოსწყდნენ კონკურენტებს. დანარჩენებს ალბათ მეოთხე ადგილისთვის ბრძოლის შანსიღა დაგვრჩა. ჰოდა, ჩვენ უბრალოდ ვალდებულნი ვართ, რომ "არსენალი" ამ ბრძოლაში უკან ჩამოვიტოვოთ. ვფიქრობ, ყველა ხვდება, თუ რა ძნელი იქნება ამ მიზნის მიღწევა, რადგან ცხადია, რომ მხოლოდ ერთ კონკურენტთან არ მოგვიწევს ბრძოლა. ზოგიერთი ჩვენზე ხშირად ახერხებდა ლიგაში მოხვედრას იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში მათთან კლასში სხვაობას ნელ-ნელა ვამცირებდით".*

"ლივერპული" აღმავლობის გზაზეაო, რომ ვთქვათ, გადაჭარბებული იქნება, რადგან "ჩელსისთან" თუნდაც გასვლაზე აღებული ქულა ამის საფუძველს არ გვაძლევს, მაგრამ რაც მთავარია, **ბრენდან როჯერსის** სამწყსო თამაშებს ძველებურად "ხალისით" აღარ აგებს. "უიგანი" კიდევ, როგორც იქნა, ისეთივე ამოუცნობ გუნდად გადაიქცა, როგორც შარშანდელი სეზონის მინურულს იყო. **რობერტო მარტინეს**ის შეგირდებმა პრემიერლიგაში ადგილი ძირითადად ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებთან გამარჯვების წყალობით შეინარჩუნეს. ჩვენი აზრით, მასპინძლებს მოგების მაინც უკეთესი შანსი აქვთ.

მოქმედი ჩემპიონი იმ გუნდს მასპინძლობს, რომელსაც წინა ტურში კარგი შანსი ჰქონდა, "მანჩესტერ იუნაიტედი" ბეჭებზე გაეკრა, მაგრამ ბოლოს მაინც დანებდა. "ქალაქელების" თავს კი უცნაური რამ ხდება, **რობერტო მანჩინის** გუნდმა დაცვაში თამაში გამოასწორა, სამაგიეროდ თავდასხმაში გაჩნდა პრობლემები, რაშიც თავად შეგიძლიათ დარწმუნდეთ: ბოლო სამ შეხვედრაში "სიტიმ" სულ სამი გოლი გაიტანა. ჩვენი ინგლისელი კოლეგები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ჩემპიონს წელს ყველაზე მეტად სწორედ შინ უჭირს საშუალო გაქანების გუნდებთან ჭიდაობა. ჩვენი პროგნოზით, მასპინძელი ამჯერად მაინც მოახერხებს მინიმუმ ორი ან მეტი ბურთით გამარჯვებას.

"ნიუკასლი" "სუონსის" მასპინძლობს. ჩვენი აზრით, "კაჭკაჭებს" გაუჭირდებათ მეტოქის ძლევა. მიზეზი გუნდის მეგოლეების ცუდი სათამაშო ფორმაა. **დემბა ბას** ჯანმრთელობის პრობლემა აქვს და შესაძლოა, **ალან პარდიუმ** სენეგალელი საერთოდ ვერ გამოიყენოს. **პაპის სისე** კი თავად აღიარებს, რომ უკმაყოფილოა მიმდინარე სეზონში საკუთარი თამაშით. "სუონსიმ" ბოლო ორი ტური მაღალ დონეზე ჩაატარა, ჯერ იყო და "ჩელსის" აართვა ქულა (1:1), მერე "უიგანს" სძლია (2:1). ეს ისეთი თამაშია, სადაც არანაირი შედეგი არ უნდა გაგვიკვირდეს.

"გაჭირვებულთა შერკინება" – თამამად შეიძლება "რეინჯერებისა" და "წმინდანების" მატჩს ასე ვუწოდოთ. მასპინძლები "რედინგთან" ერთად ის უკანასკნელი მოჰიკანები არიან, რომელთაც მიმდინარე სეზონში არ უმარჯვიათ. ჩვენი პროგნოზით, "ქუინზ პარკი" დღეს ამ უსიამოვნო სერია შეწყვეტს.

ის, რისი შანსიც აქვს "ქუინზ პარკს", ნამდვილად არ უნდა ემუქრებოდეს "რედინგს". **ბრაიან მაკდერმოტის** გუნდს ძალიან გაუჭირდება მერსისაიდელების ძლევა, რადგან პრაქტიკულად შეუჩერებელია "ლურჯების" შეტევების ლიდერი **მარუან ფელაინი**, 24 წლის ბელგიელი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. ის ერთნაირად ეფექტურია შეტევების დაგვირგვინებასა და შექმნაში. ასე რომ, "არისტოკრატებს" მასთან გამკლავება მოუწევთ. რამდენად რეალურია ამის გაკეთება? ვვეეჭვება. ჩვენი პროგნოზით, "ევერტონი" იოლად აიღებს სამ ქულას. ასევე ფიქრობენ ევროპელი ბუკმეიკერები.

"ჩელსის" ვესტ ბრომვიჩის "ჰოუტორნსზე" ურთულესი მატჩი ელის გუნდთან, რომელსაც წელს აღებული ქულების 75% სწორედ შინ აქვს დაგროვილი. მატჩის მთავარი ინტრიგა ის არის, მოახერხებს თუ არა "ჩელსი" ლიდერებთან თუნდაც ამ ჩამორჩენის შენარჩუნებას, რადგან სწორედ ბოლო ორ ტურის წარუმატებლობების წყალობითაა, რომ დედაქალაქელები ლიდერის პოზიციიდან მე-3 ადგილამდე დაქვეითდნენ. მასპინძელთა თავკაცი **სტივ კლარკი** ("ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელი და მწვრთნელი) რომ კარგი სპეციალისტი იყო, საფეხბურთო სამყარომ აქამდეც იცოდა, მაგრამ ნელს ის საოცრებებს სჩადის. იმ შემადგენლობიდან გამომდინარე, რაც მის განკარგულებაშია, კლარკი ალბათ მაქსიმუმზე მეტს აკეთებს. მიზნის მიღწევა "ლურჯების" ლეგენდარული ფეხბურთელების **ჯონ ტერისა** და **ფრენკ ლემპარდის** გარეშე მოუწევთ. "ლელოს" პროგნოზი ლონდონელთა ფანებისთვის მაინც ოპტიმისტურია. ჩვენი აზრით, ჯოჯოხეთური დეკემბრის გათვალისწინებით, როცა "ჩელსის" 9 თამაში ელის და აქედან 7 გასვლაზე, ისინი ძალებს მოიკრებენ და იმარჯვებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში **რობერტო დი მატეოს** გუნდს მესამე ადგილიც საოცნებო გაუხდება.

დღევანდელ საფეხბურთო საღამოს "ნორვიჩი"-"მანჩესტერ იუნაიტედის" თამაში დახურავს. ბუნებრივია, ვეთანხმებით ევროპელ ბუკმეიკერებს, რომლებიც ფავორიტად წითელ "ეშმაკებს" ასახელებენ. სხვა თუ არაფერი, ერთ-ერთი ყველაზე ცუდი დაცვის მქონე გუნდს პრემიერლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირი უპირისპირდება. ჩვენი პროგნოზით, ამჯერად "იუნაიტედს" აღარ დასჭირდება ჯერ გოლის გაშვება და მერე მისი დევნა, როგორც ის ამას ნელს აკეთებს ხოლმე. მიმდინარე სეზონში 17 შეხვედრიდან 10 ასე წარიმართა და აქედან 8 მაინც **ალექს ფერგიუსონის** შეგირდების სასარგებლოდ დასრულდა. მართალია, უეინ რუნი არ იქნება, მაგრამ შოტლანდიელს კარგი თავდამსხმელების პრობლემა აშკარად არ აწუხებს.

ხვალ და ზეგ პრემიერლიგაში ითთო შეხვედრა გაიმართება. "ფულჰემს" "სანდერლენდთან" უპირობოდ ვერა, მაგრამ ფავორიტად კი მივიჩნევთ. **მარტინ იოლის** გუნდს ისეთი სტუმარი ჰყავს, რომელსაც წელს გასვლითი თამაშები განსაკუთრებით უჭირს. ლონდონელებმა კი 4-დან 3 თამაში საშინაო "ქრევვეინ კოტეჯზე" მოიგეს.

ორშაბათს XII ტურს წერტილს "ვესტ ჰემისა" და "სტოკ სიტის" დაპირისპირება დაუსვამს. "მეთიხეებს" "სანდერლენდისა" არ იყოს, სტუმრად თამაში არ ეხერხებათ. ვფიქრობთ, "ჩაქუჩებს" მშვენიერი შანსი აქვთ, რომ პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარონ.

ამბები

დევიდ მოიესი

ევერტონს ფული არ აქვს

მიმდინარე სეზონში "ევერტონის" ყველაზე დიდი პრობლემა მოკლე სათადარიგოთა სკამია. ამის მიუხედავად, **დევიდ მოიესი** ახერხებს და გუნდს ფანტასტიკურად ათამაშებს. ინგლისელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, აპირებდა თუ არა 50 წლის შოტლანდიელი მოახლოებული სატრანსფერო ფანჯრისას ახალი ფეხბურთელების გადაბირებას, რაზეც მან შემდეგი პასუხი გასცა: *"არ მგონია, რომ იანვარში რომელიმე პოზიციაზე გაძლიერება მოვახერხოთ. იმიტომ კი არა, რომ შესაფერის კანდიდატურას ვერ ვხედავ, ამის ფინანსები არ გაგვაჩნია".*

სტერლინგის ახალი კონტრაქტი

რაჰემ სტერლინგს ნამდვილად საამაყოდ აქვს საქმე. 17 წლისამ მან ჯერ "ლივერპულის" სასტარტოში მოახერხა ადგილის დამკვიდრება, პლუს ამას ინგლისის ნაკრებში მინვევაც დაიმსახურა. ამჟამად თინეიჯერ გარეშარბს მერსისაიდელებთან სამოყვარულო კონტრაქტი აკავშირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის პრემიერლიგის ფეხბურთელის კვალობაზე მიზერულ ანაზღაურებას იღებს. რაჰემი 8 დეკემბერს 18 წლისა ხდება. შესაბამისად, მას უკვე შეეძლება პროფესიული ხელშეკრულების გაფორმება. "ლივერპული" უკვე ზრუნავს თავის ვარსკვლავზე და უახლოეს დღეებში მისთვის 5-წლიანი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებს. **ბრენდან როჯერსმა** „ლივერპულ ეხოსთვის" მიცემულ ინტერვიუში ეს ინფორმაცია უკვე დაადასტურა.

რაკი "ლივერპულზე" ვწერთ, აქვე გეტყვით, რომ დიდი შანსია, "წითლებმა" იანვარში **სტიუარტ დაუნინგი** გაუშვან. მას პრემიერლიგურ კლუბებს შორის რამდენიმე მთხოვნელი უკვე ჰყავს.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XII ტურის წინ

წითელი და მწვანე

ათასი ჰასის და ათასი რეკორდის კაცები

ჯერ კიდევ 1915 წლის თებერვალი იყო, როცა მათი პირველი მატჩი გაიმართა - „სევილია“ „ბეტისს“ 4:3-ს უგებდა, თუმცა მატჩს დასრულება არ ეწერა - უკვე მაშინ სევილიური ქალაქის ამ ორი მეზობელი გუნდის, რომელიც ერთის გაყოფით წარმოიშვა, ფანები ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანდნენ, „ბეტისის“ ქომაგები მოედანზე შეიჭრნენ და მსაჯს თამაში არ დაამთავრებინეს. აი, ასე დაიწყო „წითელისა“ და „მწვანეს“ დაპირისპირება. მას მერე „სევილიამ“ 51 ოფიციალური დერბი მოიგო, „ბეტისმა“ - 36, 28 თამაში კი ფრედ დასრულდა. აი, ასეთი ლამაზი სანახაობა აკლდა ლა ლიგას ორი სეზონის განმავლობაში, მაგრამ შარშან „ბეტისი“ ელიტაში დაბრუნდა. მოკლედ, „წითლები“ („სევილია“) ანდალუსიის დედაქალაქის ცენტრში არიან დაბინავებულნი, „მწვანეები“ („ბეტისი“) კი - ქალაქის სამხრეთ გარეუბანში. ახლა „ბეტისი“ უკეთეს პოზიციაზეა, პეპე მელის გუნდი მეოთხეა, მაშინ, როცა მიჩელის - მე-10. თუმცა მათ შორის მხოლოდ 4 ქულაა. მოკლედ, კვირა საღამოს დიდებული სანახაობა გველის..

კარლეს პუიოლი (მარცხნივ) ბარსელონას უბრუნდება

დღეს

ოსასუნა-მალაგა 19:00

დისკვალიფიკაცია: არმენტეროსი (ოსა)
ტრავმა: პუნიალი, ნინო, ლამა, ბერტრანი - მონრეალი, ჟულიო ბაპტისტა

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 22 თამაში: +4=8-10, (24-38)

ვალენსია-ესპანიოლი 21:00

დისკვალიფიკაცია: სისოკო (ვალ)
ტრავმა: პიატი, მატიო, კანალესი - ხ. ლოპესი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 36 თამაში: +14=7-15, (49-53)

ბარსელონა-სარაგოსა 23:00

დისკვალიფიკაცია: ბუსკეტსი - სეპუნარუ, აბრაამი
ტრავმა: ადრიანო, ალკანტარა, კვენკა, აბიდალი, მუნიესა, სანჩესი - ხოსე მარი, ლანძარო, ობრადოვიჩი

ბოლო 6 მატჩი

+5=1-0 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 38 თამაში: +26=4-8, (94-47)

რეალი-ბილბაო 01:00

დისკვალიფიკაცია: დე მარკოსი, ანდერი (ბილ)
ტრავმა: იგუაინი, ბენზემა (?), ხედირა (?), მარსელო, კოენტრაო (?) - პერესი, რუსი, ეკიზა, ამორებიეტა

ბოლო 6 მატჩი

+5=1-0 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 40 თამაში: +25=5-10, (89-39)

ხვალ

დეპორტივო-ლევანტე 15:00

დისკვალიფიკაცია: პიკი (დეპ)
ტრავმა: აიოსე, მარჩენა, ოლივეირა, ვასკესი, აგილარი, სალომაო - დუდკა

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 10 თამაში: +6=1-3, (10-9)

სელტა-მალიორკა 19:00

დისკვალიფიკაცია: კაბრალი (სელ)
ტრავმა: ოუბინია, სამუელი, ინსა - ჯოვანი დოს სანტოსი, ჩიმო, ჟოაო ვიქტორი, ა. ლოპესი, ნუნიეში, მარკესი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +0=0-6

ურთიერთშეხვედრები

სულ 18 თამაში: +9=2-7, (27-24)

ხეტაფე-ვალიადოლიდი 20:50

ტრავმა: აბრაამი - ვალიენტე, ებერტი, სერენო

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 7 თამაში: +3=2-2, (3-4)

გრანადა-ათლეტიკო 22:45

ტრავმა: მაინსი, სიკეირა, იებდა, რომერო, ფ. რიკო - მირანდა (?)

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 2 თამაში: +0=1-1, (0-2)

სევილია-ბეტისი 00:30

ტრავმა: ბოტია, პეროტი, დელ მორალი, ტროხოვსკი - ს. როდრიგესი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +10=13-7, (35-28)

ზეგ

სოსიედადი-ვალეკანო 00:30

ტრავმა: ბერგარა, გრიზმანი, კადამურო, ზურუტუზა, ბრავო, ელუსტონდო - როდრი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 21 თამაში: +7=5-9, (31-35)

შენიშვნა: + მოგება = ფრე - წაგება
შენიშვნა: ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	11	10	1	0	36-14	31
2. ათლეტიკო	11	9	1	1	24-11	28
3. რეალი	11	7	2	2	27-8	23
4. ბეტისი	11	6	1	4	18-17	19
5. მალაგა	11	5	3	3	15-9	18
6. ლევანტე	11	5	2	4	13-16	17
7. ვალეკანო	11	5	1	5	16-25	16
8. ვალიადოლიდი	11	4	3	4	16-12	15
9. ვალენსია	11	4	3	4	14-13	15
10. სევილია	11	4	3	4	13-13	15
11. სარაგოსა	11	5	0	6	14-18	15
12. ბილბაო	11	4	2	5	16-21	14
13. სოსიედადი	11	4	1	6	12-16	13
14. ხეტაფე	11	4	1	6	12-18	13
15. მალიორკა	11	3	2	6	12-19	11
16. გრანადა	11	3	2	6	11-18	11
17. სელტა	11	3	1	7	13-17	10
18. დეპორტივო	11	2	4	5	18-25	10
19. ესპანიოლი	11	2	3	6	12-18	9
20. ოსასუნა	11	2	2	7	11-15	8

ბომბარდირები: 15 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - რადამელ ფალკაო (ათლეტიკო).

ეყოფა სარაგოსას 200%?

„თუ ჩვენ „კამპ ნოუზე“ რამის მიღწევა გვსურს, საკუთარი ძალების 200 % უნდა ვაჩვენოთ“, - ამბობს „სარაგოსას“ გარემარბი **ვიქტორ როდრიგესი**, უდავოდ ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი არაგონელთა შემადგენლობაში. თუმცა „თავს ზემოთ ახტომა“ ფიზიკურად შეუძლებელია, ასეც რომ იყოს, ეყოფა კი „სარაგოსას“ ეს 200%? გვეეჭვება.

ტიტო ვილანოვას ახალი სადარდებელი გაუჩნდა, ჩილეს ნაკრებში ტრავმა მიიღო **ალექსის სანჩესმა** და ის დაახლოებით ერთ თვეს გამოტოვებს. ერთიცაა, სამხრეთამერიკელი ვერაფრით მოერგო „ბარსას“, ამ სეზონში ლა ლიგაში მას გოლიც კი არ გაუტანია. სამაგიეროდ, კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** მოირჩინა ტრავმა და წესით, დღეს **ჟერარდ პიკესთან** წყვილში უნდა ითამაშოს. საეჭვოა **ალექს სონგის** (ზურგი) და **ადრიანოს** (კუნთი) თამაში, ხოლო **სერხიო ბუსკეტსს** 5 ყვითელი ბარათი დაუგროვდა (კლუბიდან პირველს) და დისკვალიფიცირებულია. სტუმრებს ამავე მიზეზით არ ეყოლებათ მცველები, **კრისტიან სეპუნარუ** და **აბრაამ მინერო**. ტრავმები აწუხებთ **მაურიციო ლანძაროსა** და **ივან ობრადოვიჩს**, **ხოსე მარიმ** კი მოირჩინა მუხლი და შეიძლება ითამაშოს.

სანაკრებო მატჩებიდან დაბრუნებულმა **ლიონელ მესიმ** და **დავიდ ვილიამ** ტრენაჟორებზე ივარჯიშეს, სხვებმა კი - ჯგუფთან ერთად. „ბარსელონას“ ოპონენტს კარგი დროება უდგას, „სარაგოსამ“ ბოლო 4 ტურში სამი შეხვედრა მოიგო და მხოლოდ „რეალთან“ დათმო თამაში. მასპინძელთა მცველები განსაკუთრებით **ელდერ პოშტიგას** უნდა უფრთხოდნენ - პორტუგალიელმა ფორვარდმა ამ სეზონში ხუთიდან სამი გოლი თავით გაიტანა.

საპარაულო შემადგენლობები

ბარსელონა: ვალდესი - ალვეში, პიკე, პუიოლი, ალბა - ჩავი, ფაბრეგასი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.

სარაგოსა: რობერტო - სუკულინი, ლოოვენსი, ალვარო, პარედესი - მოვილია, რომარიკი - ვ. როდრიგესი, აპონიო, მონტანიესი - პოშტიგა.

* „სარაგოსას“ შემადგენლობაში „ლა მასიას“ 4 აღზრდილია: აბრაამი, **მონტანიესი**, როდრიგესი და **ორიოლი**.

* 11 მატჩია, „ბარსელონა“ „კამპ ნოუზე“ არ დამარცხებულა.

* ლიონელ მესის 7 გოლი უკლია, რომ „ბარსას“ ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდეს, **სესარ როდრიგესის** შედეგი 190 გოლია.

* გუშინ „ბარსას“ მეკარე **ვიქტორ ვალდესს** მეორე შვილი შეეძინა. ბიჭს **კაი** დაარქვეს.

* ზედიზედ 8 მატჩია, „სარაგოსა“ „ბარსელონასთან“ მარცხდება.

* „სარაგოსამ“ ბოლოს „კამპ ნოუზე“ 2007 წელს სათასო მატჩში მოიგო.

* ხუთ მოწინავე ლიგაში მხოლოდ **ჩავის** აქვს 1 000-ზე მეტი ზუსტი პასი გაკეთებული. მეორე ადგილზეც ესპანელია, „არსენალის“ ნახევარმცველი **მიკელ არტეტა** - 994 პასი.

ლაზარეთი შეთხელდა, რონალდო ჯანზეა

ორი საათის შემდეგ „ბარსელონასგან“ ესტაფეტას „რეალი“ გადაიბარებს - მადრიდს ბილბაოს „ათლეტიკი“ სტუმრობს. ბუნებრივია, ეს ტურის ცენტრალური მატჩია, იმის მიუხედავად რომ **მარსელო ბიელსას** გუნდი წლეულს ვეღარ ბრწყინავს.

ჟოზე მოურინიოს ბასკებთან მატჩისთვის **კრიშტიანო რონალდო** და **მესუთ იოზილი** უბრუნდება. ასევე შესაძლოა, **სამი ხედირამ** და **ქარიმ ბენზემამაც** ითამაშონ. მხოლოდ **გონსალო იგუაინის** და **მარსელოს** თამაშია გამორიცხული.

„ათლეტიკს“ ორი დისკვალიფიცირებული არ ეყოლება - **ანდერ ერერა** და **ოსკარ დე მარკოსი**. პირველი წინა ტურში სეზონში უკვე მეორედ გააძევეს, უნივერსალ დე მარკოსს კი ხუთი ყვითელი ბარათი დაუგროვდა. **ფერნანდო ამორებიეტა** ვენესუელის ნაკრებში ასპარეზობისას დაშავდა, საეჭვოა **ეკიზას** და **პერესის** თამაში.

საპარაულო შემადგენლობები

რეალი: *კასილიასი - არბელოა, პეპე, ს. რამოსი, კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.*

ბილბაო: *ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, გურპეგი, აურტენეჩე - იტურასპე, მარტინესი - სუსაეტა, მუნიაინი, გომესი - ადურისი.*

* ბოლო შვიდ ტურში „რეალმა“ 6 მატჩი მოიგო.

* „რეალს“ ლა ლიგაში საუკეთესო დაცვის ხაზი ჰყავს - გუნდმა სულ 8 გოლი გაუშვა 11 მატჩში.

* „ლევანტესთან“ გოლით კრიშტიანო რონალდომ „რეალის“ ისტორიაში ბომბარდირთა დავაში კიდევ ერთი ლეგენდა, **ემილიო ბუტრაგენიო** (124 გოლი) ჩამოიტოვა, თუმცა მას ძალიან ბევრი უკლია **რაულამდე** (228).

* ბოლოს „ათლეტიკმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 7 წლის წინათ მოიგო - 2:0.

სხვა მატჩებში

სხვა მატჩებიდან მეორეადგილოსანი „ათლეტიკოს“ ანდალუსიურ ვიზიტს აღვნიშნავთ „გრანადასთან“. „როხიბლანკოს“ კოლუმბიელმა ფორვარდმა **რადამელ ფალკაომ** კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში „ათლეტიკოდან“ არსად წასვლას არ აპირებს, არც „ჩელსიში“.

ხვალ კი „ვალენსია“ „ესპანიოლს“ უმასპინძლებს - ორი არგენტინელი მწვრთნელის, **მაურისიო პელეგრინოსა** და **მაურისიო პოჩეტინოს** დაპირისპირება. არც ერთ მათგანს არა აქვს საქმე დასალხენად. „მალაგა“ ნავარაში ჩადის და იქნებ, **მანუელ პელეგრინის** გუნდმა ბოლოდროინდელი წარუმატებლობა შეწყვიტოს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ამბები

ვორონინი გამოიჭირეს

„ფორტუნას“ 33 წლის უკრაინელ თავდამსხმელ **ანდრეი ვორონინს** დიუსელდორფულ კლუბში ისედაც ალმაცერად უყურებენ, ახლა კი საბოლოოდ აითვალწუნებენ. ვორონინი ამ დღეებში გუნდთან ერთად არ ვარჯიშობდა და ოფიციალური მიზეზით ავად იყო, მაგრამ ოთხშაბათს ის გულშემატკივრებმა ღამის კლუბ „რუდასში“ ნახეს და ეს კლუბს შეატყობინეს. ამის გამო „ფორტუნამ“ ვორონინს 20 000 ევროს გადახდა დააკისრა.

კლოპმა პერიშიჩს უპასუხა

ორიოდე დღის წინ გაუწყეთ, რომ 23 წლის ხორვატმა ფეხბურთელმა **ივან პერიშიჩმა** უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ თავკაცი **იურგენ კლოპი** იშვიათად ათამაშებს. გუშინ მას 45 წლის კლოპმა ასე უპასუხა: *„ჩემთვის გასაგებია ის, რომ პროფესიონალი ყოველთვის უკმაყოფილო უნდა იყოს უთამაშებლობით. მეტიც: ეს აუცილებელიცაა. საქმე ისაა, რომ ასეთ დროს ყოველთვის უმჯობესია, ფეხბურთელმა მოკეტოს და ამ თემაზე ბევრი არ ილაპარაკოს. რა წესია ასეთი განცხადებების საჯაროდ გაკეთება? საბავშვო ბაღში ვართ?“*

„ბილდის“ ინფორმაციით, დორტმუნდი პერიშიჩს დააჯარიმებს.

გოტფრიდ ლენცი



იურგენ კლოპი

● იტალია. სერია A. XIII ტური წინა

ბუბერი ქალბატონი და კიდევ ერთი კონკურენტი

დღეს

იუვენტუსი-ლაზიო 21.00
დისკვალიფიკაცია: პირლო - ლულიანი, მაურო.
მარბელა: დე ფერეე (ოუენტრუსი).

პირველ 6 მაჯრი
+5=0-1 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 39 თამაში: +18=9-12, (58-50)

ნაპოლი-მილანი 23.45
დისკვალიფიკაცია: ბერარა - ამბროზინი.
მარბელა: მესი, ზლატანი, დიდა ვილა, ბუჩანარო, ანტონინი, ალატა, ბობერა (ბოლნი).

პირველ 6 მაჯრი
+3=1-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 22 თამაში: +4=9-9, (18-26)

ხვალ

ბოლონია-ალანტა 18.00
დისკვალიფიკაცია: პორტანინა (ნაბელა-ონა).
მარბელა: კარნალიო, ალეგრეტი, ნაბელა - ერნანდესი, მანტოვანი, მაკოლა.

პირველ 6 მაჯრი
+0=1-5 +1=4-1

ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +2=2-6, (11-21)

კალიარი-ციტეი 18.00
დისკვალიფიკაცია: ლ. ოდიარნი (ალეკი).
მარბელა: ეკეკო, ოუენტენბერი, ნაკა - სანტა-ეულარია, ვალლეია.

პირველ 6 მაჯრი
+2=3-1 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 34 თამაში: +11=8-15, (43-49)

სამპდორია-ჯენოა 23.45
დისკვალიფიკაცია: დი კოტა (სამპდორია).
მარბელა: ბერარდი, ბოცი, მაქსი ლოპეზი, ვალერი - ფერონტანი, ვარგასი, ხორკერა, ანსელმინი.

ბოლო 6 მაჯრი
+0=0-6 +0=1-5

ურთიერთშეხვედრები
სულ 20 თამაში: +6=5-9, (24-20)

ზეგ

რომა-გენოა 23.45
დისკვალიფიკაცია: გეზენტრეტა, ტარტაროტა, ბერეფიანი, დე ფრანსი (რომა).
მარბელა: ლობანიანი, სტეკელენბერგი - სოტე.

პირველ 6 მაჯრი
+3=0-3 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 20 თამაში: +12=6-2, (32-16)

შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

	მ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოუენტუსი	12	10	1	1	29-9	31
2. ინტერი	12	9	0	3	24-13	27
3. ნაპოლი	12	8	2	2	20-9	26
4. ფიორენტინა	12	7	3	2	19-9	24
5. ლაზიო	12	7	1	4	19-17	22
6. აბანელეზი	12	6	2	4	13-15	18
7. რომა	12	5	2	5	28-23	17
8. ალბანელი	12	4	4	4	15-16	16
9. ალბა	12	4	4	4	14-16	16
10. ალესანო	12	4	3	5	11-17	15
11. უდინეზეი	12	3	6	3	16-18	15
12. მარინეზი	12	3	6	3	13-10	14
13. მილანი	12	4	2	6	18-16	14
14. ჯენოვნელი	12	2	5	5	11-17	11
15. პესაპარა	12	3	2	7	9-23	11
16. კიეზინი	12	3	2	7	12-23	11
17. სამპდორია	12	3	2	7	13-18	10
18. ჯენოა	12	2	3	7	12-18	9
19. ბოლონია	12	2	2	8	12-18	8
20. ლეჩეი	12	3	4	5	12-14	7

სამონე ეპეტს დიდებული გოლი მარკატის კარში მარშანდელი სეზონიდან

XIII ტურ სამ დღეზეა გაწერილი, ორი შეხვედრა დღეს გაიმართება, შეიდი კვირას, ერთი კი ორშაბათს. თუმცა, გასასკუთრებულ ინტერესს სწორად დღეს დაგეგმილი მატჩები იწვევს... ტურინში, "იუვენტუსი" "ლაციოს" უმასპინძლებს, "ნაპოლის" კი "სტადიონ სან პაოლოზე" "მილანი" ესტუმრება. საინტერესო მატჩი შედგება "ჯენუეზე მეცაოზე", სადაც "ინტერი" "კალიარის" მიიღებს და რა თქმა უნდა ვეფვნამი, სადაც დერბია, მაგრამ ტურის ნინასტყვაობა სწორედ დღევანდელ შეხვედრებს დაეთმობა.


ანდრეა პირლო ოუენტუსის დიდი დანაკლისია

ლაციო სპეციტაროზე ალეპარაკაზა

"იუვენტუსი" და "ლაციო" მოახლეებულ პაეერობას კარგ, ბანყოობაზე ხედვინან - გასულ ტურში, ტურინელმა გრანდმა "ეფეკარის" ბედაურნინა, "ბიანკონერეტაზე" კი სულაც ორნიშნა ანგარიში ნაჩუქარი. "რომას" დამარცხებამ ვალიმინრ ეფეკარიანი ამ შეხვედრაზე, ეს მარკის ტალღაში იყნება, დანარჩენს კი დრო ვეკიმენტებს".

ანვეალო ალესანო (იუვენტუსის მოთამაე ბნერინელი მოვალეობის შემსრულებელი): "ჩემი პირადი აზრით, "ლაციო" აკეთებს რეკორდებს, რომ სეზონ დეტალთაეის ბრძოლაა. შემაგებელნიბის ბრრე, ეს გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა ოტალიაში და შესაბამისად, მძიმე ბრძოლის მოლოდინში ვართ. განსაკუთრებით შუა ბაზში, რადგან რომეკლებს ძალიან ძლიერი ნაბეკარადეკეკი ჰყავთ. დაეუფლებთ ამას სუფრ-ფორკერი ნიოფელ ფდეზს. ასე რომ, თუ სამი ქულის მოპოვება გვსურს, ბოლომდე უნდა დაეიბარეთო".

ანეკეთი ალესანო (იუვენტუსის მოთამაე ბნერინელი მოვალეობის შემსრულებელი): "ეს ეფექტი ალესანოს ბანკონერეტაზე ბაზრის საგრანსფერო პეროდში ნიკოლა ლუკანის და ერნანდესის ვადაბარებას შეედგება. ასეთმა ტაბიან მეიძლება ეფექტი მოგვიტანოს ბანკონერეტაზე, ნინაალმდეგ ბეკმეტეკეთაეიკეულებად დაეისეკენი. "მილანი" "ბოლონია", "რომის ათამაშეზეს, კიკის არ იკის და სიფრთხილე გამართეს. იმეფთ, გეულშეტაკეკეერი ტრიბეტეკეს გაკეკეტენ, მათი მბარფაკერა პეერეეთ ბეკერეეტან".

ნაპოლი

ალატტა დეკლ სპორტს" ეარაკეთი, ეაილეტრ მაკარო ტრადიციულ ტაქტიკას აირჩევს და მეტოდეს 3-4-1-2 სქემას დეუპარისპრეს. ატერორტეკეეტ გამოკეეთის მეკიკეეთით, თავრიგეზი დარჩება **გორან პანდევი**, მის ადგილს კი ეიანალეკზრდა **ლორენცო ინსინეე** დაიკავებს. მაკეფორნეეტ მიერრტრეეტ ჰეეინდა და ეკეანალეკნელი ინდორიმაკეეთი. მხოლოდ ნაბეკვანი სეეთი თუ შეძლებს მოეგანეზეს გასკელას. ინსინეე მეგრეკეე შეუეეკეეთ **ედინსონ კავანი** იქნება, გამიმამაშელის პოზიციაზე კი **მარეკ ჰამშიკი** გაიარეკება.

მილანი

ატალეის ნაკრებმა სადრანეეთის ეერიეეულ ეკეზეს ერთადერთი ანიკი "მილანერი" კომბინაციით ვეიტანა - "მილანის" კრიზისი აკეეს და "ნაპოლიო" ალეეკეეტლად ვეიმარეეს. ბაკრეკეკ ალად ძალიან ადეკეკეკ [illegible] ეკ ტენდენციეთ. მაკეფორკეეტ ეერი ეეკ მარეკი ინ ინეეთ ვეიმარეეს. ეეკ ეეკ ეეკ

ოლოლოს სტუმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ყიფიანი

ერთსულოვნებით ყველა პრობლემას დავძლევთ

ხელშეწყობა იქნება, მთავარია, ვიცოდეთ, საიდან დავიწყოთ და საით მივდივართ!

დღეს "ლელოს" სტუმარია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი.

— ჩემთვის გასაკვირი და სასიამოვნოც იყო, სპორტის მინისტრობა რომ შემომთავაზეს. ეს არ ყოფილა წინასწარი მოლაპარაკების შედეგი. საქართველოში სპორტის მასშტაბებსა და ტრადიციებს რომ გადავხედე, ამგვარმა შემოთავაზებამ და პასუხისმგებლობამ, მართალი გითხრათ, ერთგვარად შემაშინა კიდეც. მაგრამ ადამიანები იმიტომ ვცხოვრობთ, რომ ქვეყანას საჭირო დროს და საჭირო ადგილას გამოვადგეთ, უნდა გადადგა ის ნაბიჯი, რომლითაც შენი გამოცდილება და შენეული ხედვა საზოგადოებას სარგებლობას მოუტანს. ამიტომაც მივიღე ეს გამოწვევა. მთელი ჩემი ცხოვრება სპორტთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამჟამინდელი მომენტი განსაკუთრებულად გამორჩეული და პასუხსაგებია. დიდ პატივად მიმაჩნია ყოველდღიურად ოლიმპიურ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებთან და პრეზიორებთან ურთიერთობა. რიდით ვეპყრობი ამ ბუმბერაზ ადამიანებს და მათთან ხშირი კონტაქტები პასუხისმგებლობას მიორკეცებს. არ მინდა, ისინი გავაწბილო.

— ბატონო ლევან, წლების განმავლობაში არასდროს დაგიმალავთ საკუთარი პოზიცია სპორტის და, კერძოდ, ფეხბურთის მიმართ. გარკვეული დროის განმავლობაში ოპოზიციონერიც კი იყავით. ახლა სპორტის მინისტრი ბრძანდებით. ამგვარი „გადასვლა“ უხერხულობის მომენტს ხომ არ გიქმნით?

— ოპოზიციაში ყოფნა იოლი სულაც არ არის. კრიტიკა შედეგს ვერ მოიტანს, თუ ის არგუმენტირებული არ იქნება, წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდები. თანაც შეუძლებელია, მთელი ცხოვრება ოპოზიციაში იყო. რა თქმა უნდა, არც დღეს გავურბივარ მონინააღმდეგე მხარესთან დასაბუთებულ დიალოგს. აქამდე, სამწუხაროდ, ოპონენტებისგან ასეთ პასუხს ვერ ვიღებდი. მე კი მზად ვარ, ყველა შეკითხვაზე საფუძვლიანად ვუპასუხო, როგორც მინისტრმა. ამიტომ ჩემი ოპონენტები უფრო კომფორტულად იგრძნობენ თავს, როცა დასაბუთებული პასუხები ექნებათ.

— როგორც ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, მზად არიან, საკუთარი სახსრებით შეინახონ ნაკრებები და ფედერაციის ოფისი. თქვენ პარტნიორობის რა ფორმას ხედავთ ფეხბურთის ფედერაციასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში?

— ჩვენს გუნდს საამისოდ ბევრი პროექტი აქვს მოფიქრებული, რომელთაც შეჯერება სჭირდება. საუკეთესოს საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანთ. დღეს ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ფეხბურთთან, თვალნათლივ ჩანს, რომ სპორტის სხვა სახეობებსაც აწუხებთ. ამჯერად მათი ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ, რადგან ისინი ყველასთვის ცნობილია. რაც შეეხება პარტნიორულ ურთიერთობებს, სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ პირველი ნაბიჯების გადადგმა ფედერაციების მესვეურებთან შეხვედრებით დაიწყო, ფეხბურთის მიმართ ჩემი დამოკიდებულება კი მკაფიოდ ჩამოვაყალიბე ფედერაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას. თქვენ თვითდაფინანსებაზე ბრძანეთ, მე კი გეტყვით, რომ ეგვიპტესთან მატჩის ორგანიზების ხარჯები სახელმწიფომ გაიღო. ასე რომ, დარგი ჯერ კიდევ დოტაციურია, ამიტომ ერთ კვირაში თვითდაფინანსებაზე ასე ხელის ერთი დაკვრით, გაუანალიზებლად გადასვლა რამდენად შესაძლებელია, ვერ გეტყვით. თუმცა ორ-სამ დღეში ფეხბურთის ფედერაცია ტრანსფორმირებას და თვითდაფინანსებაზე გადასვლას თუ მოახერხებს, ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით.

რაც შეეხება ფედერაციების სამომავლო გეგმებს, ეს მათი საქმეა, ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რას აკეთებენ ისინი, ჩვენ კი სამართლებრივი თუ ფინანსური მხარდაჭერითა და რეკომენდაციებით შემოვიფარგლებით.

— საქართველოში რაგბი ყველაზე წარმატებული სათამაშო სპორტის სახეობაა. თქვენც რაგბის კავშირის საქმიანობა არაერთხელ მაგალითად მოიხმეთ. გვაინტერესებს, სპორტის ამ სახეობის განვითარების პროგრამას, რომელიც კარგა ხანია ხორციელდება ქვეყანაში, სამომავლოდ როგორი მხარდაჭერა ექნება სახელმწიფოსგან.

— კარგი შეკითხვაა. ნებისმიერი კონკურენციის შემთხვევაშიც, შედეგებიდან გამომდინარე, საზოგადოებისთვის ნათელია, თუ როგორი პერსპექტივა აქვს რაგბის საქართველოში იმ სწორი მიმართულებიდან, რა მიმართულებითაც გამოიყენეს სამწვრთნელო, ეროვნული ჩემპიონატისა თუ ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები, ასევე ის ოთხწლიანი პროექტი, რომელშიც ზედმიწევნითაა გაწერილი ყველაფერი. მუდმივი და იდეალური ამქვეყნად არაფერია და კორექტირებას მოითხოვს. მაგრამ დღეს ჩვენ ალტერნატივა ვერ დავინახეთ სხვა სახეობებიდან. ამიტომ არ დავმალავ და ვიტყვი, რომ მორაგბეებმა რთულ პერიოდში მოახერხეს გადაჯგუფება მენეჯმენტის გათვალისწინებით, რაც, ფაქტობრივად, შედეგებშიც აისახა. ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება, რადგან ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ ამ კავშირთან ვერც პროფესიული და ვერც ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, შესაძლოა, სხვა ფედერაციებს შევთავაზო კიდეც, მორაგბეებისგან გადაიღონ ორგანიზაციული ნოვაციები.

— ამას წინათ შევიტყვეთ, რომ ჭიდაობაში ჩვენთან თურმე 1500-მდე სპორტსმენი ვარჯიშობს. ზოგიერთ ქვეყნაში კი მხოლოდ ერთ დარბაზშია ამდენი მომცადინე. ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ჩვენთან სპორტსკოლების გაუქმებამ, უკან დასწია ქართული სპორტი...

— ეს პრობლემა არსებობს. ალალად ვთქვათ — საქართველოში სპორტის აშკარა რეგრესია, ბოლო წლებში დაფინანსების გაზრდის მიუხედავად. კატასტროფულად იკლო მოვარჯიშეთა რაოდენობამ. თქვენ წარმოიდგინეთ, ზუსტი ციფრიც კი არა გვაქვს, რამდენი მოზარდია დღეს ჩაბმული სპორტში. ამიტომ მნიშვნელოვანია უპირველესად იმის ანალიზი, რა გვაქვს: ინფრასტრუქტურა, რით არიან დაკავებული მოზარდები და განვითარება როგორ უნდა მოხდეს. სხვაგვარად შედეგებამდე ვერ მივალთ. სავარაუდოდ, დღეს თუ საქართველოში 33 ათასი სპორტსმენი გვყავს, საშუალო ევროპულ ქვეყნებში მათი რიცხვი 100-150 ათასს აჭარბებს. ხედავთ, როგორი განსხვავებაა. ასეთივე დისბალანსია ინფრასტრუქტურის თვალსაზრისითაც: რაც დაინგრა, მისი საპირწონე არ აშენებულა, ან რაც უნდა აშენებულიყო, ბოლომდე არ მიიყვანეს. ამიტომ, ვიმეორებ, რეალურად უნდა შევაფასოთ სიტუაცია: ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რისი პატრონები ვართ და შესაბამისი აქცენტები მერე გავაკეთოთ. ეს მნიშვნელოვანია თუნდაც იმ თვალსაზრისით, თუ როგორი ურთიერთობა უნდა იყოს სპორტსა და სახელმწიფოს შორის.

— მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ, ქართულ ჭიდაობას 20 ათასი ლარი გამოუყვეს, მას შემდეგ ამ სახეობისთვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ. არადა, ქართული ჭიდაობა ყოველთვის უზრდიდა ფალავნებს ძიუდოს, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებს, სამბოს. სამინისტროს ახალ შემადგენლობას ეროვნული საუნჯის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება თუ ექნება?

— ფედერაციების მოვალეობას ნამდვილად ვერ ვიკისრებთ. დღეს სამინისტრო, ფაქტობრივად, სპონსორის ფუნქციას ასრულებს — ფედერაციის ხელმძღვანელები გვეუბნებიან — შეჯიბრებაზე მივდიოვართ და ფული მოგვეცითო. აბსოლუტურად უნდა შეიცვალოს ამგვარი მიდგომა. უპირველესად, უნდა მოხდეს არა კალენდრული, არამედ პროგრამული განვითარების დაფინანსება, რომლებსაც ფედერაციები ვერ ან არ აკეთებენ. სპორტის სამინისტრო და ფედერაციები არ არიან სამშენებლო კომპანიები, ისინი არ უნდა იყვნენ დაკავებული მშენებლობებით, ეს არ არის მათი ფუნქცია. სახელმწიფომ უნდა წარადგინოს მთავრობის წინაშე ის პროექტები, რომლებსაც მერიები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განახორციელებენ.

სპორტის სამინისტროს ფუნქციაა, ხელი შეუწყოს სპორტის განვითარებას კანონშემოქმედებითობით. დღეს 1996 წელს დამტკიცებული კანონი მოქმედებს, რომლის შეცვლაზე ან ცვლილებების შეტანაზე, ფაქტობრივად, არავის უზრუნია. არადა, კანონი არეგულირებს ურთიერთობებს.

— ამჟამად პარლამენტში სამი ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს, ამიტომ კანონშემოქმედებითი თვალსაზრისით სპორტის სამინისტროს არ უნდა გაუჭირდეს...

— სპორტსმენები, მართლაც, მრავლად არიან ახალ პარლამენტში, ამდენად, წამოწყებებში აქტიური მხარდაჭერა და თანადგომა არ მოგვაკლდება, რადგან, სპორტის პრიორიტეტების განსაზღვრასა და განვითარებაში ერთიანი თვალსაზრისი გვაქვს.

ჩვენი მთავარი პრინციპია, რომ სპორტის სამინისტროს დაუბრუნდეს ის იმიჯი, რაც უნდა ჰქონდეს. ყველა გადაწყვეტილება ღია და გამჭვირვალე იქნება - დაწყებული ბიუჯეტით და პროექტებით დამთავრებული, რომ საზოგადოებას ზედმეტი კითხვები არ გაუჩნდეს.

გვინდა შევქმნათ სათათბიროები, რომლებიც დაკომპლექტდება საზოგადოების წარმომადგენლებით, იქ მოხდება ახალ-ახალი იდეების აკუმულირება, შევქმნით ანალიტიკურ დეპარტამენტებსა და სამმართველოებს, რომლებიც როგორც სპორტის, ისე ახალგაზრდობის საკითხებს განიხილავს. მასში შევლენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები. სიახლეები სამომავლოდ მეტი იქნება და ყველაფერი, ცხადია, დროულად ეცნობება საზოგადოებას.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ქართული სპორტი რეგრესს განიცდის. ეს, ცხადია, სათანადო კადრების უკმარისობითაც არის გამოწვეული.

— ეს არის ძალიან მტკივნეული საკითხი. მის მოსაგვარებლად, უპირველესად, სამართლიანობაა აღსადგენი — საქართველოს უნდა დავუბრუნოთ სპორტის აკადემია, უფრო მეტიც — მისი სტატუსი გაიზარდოს და გახდეს სპორტის უნივერსიტეტი. რა ფორმით იფუნქციონერებს ეს უმაღლესი სასწავლებელი, ამას ახლო მომავალში გადაწყვეტთ.

— ყოფილი სპორტის აკადემიის შენობა გაყიდულია?

— არა, ვერ მოასწრეს. მინისტრად დანიშვნისთანავე მივმართე ეკონომიკის სამინისტროს, საიდანაც მივიღე პასუხი, რომ სპორტის აკადემიის ტერიტორია ხელუხლებელია, ოღონდ გაპარტახებულია და მისი აღდგენა ცალკე განხილვას მოითხოვს. ასევე, ვერ მოასწრეს ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის დარბაზის, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის გაყიდვა, სამაგიეროდ, ილიას უნივერსიტეტს ჩამოართვეს „ქარიშხალას“ ბაზა და ახლა იქ კერძო ინვესტორია შესული. ასე რომ, ბაზებთან დაკავშირებით უამრავი პრობლემა იქნება მოსაგვარებელი.

— ისევ ფეხბურთს გვინდა დავუბრუნდეთ, თუ არის იმის შესაძლებლობა, რომ სპორტის ამ სახეობას შეღავათები დაუწესდეს. ისიც საინტერესოა, საბიუჯეტო კლუბებს რა ბედი ეწევათ?

— რაც შეეხება უწყებრივ დაფინანსებას, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს დაფინანსების არასწორი ფორმაა, თუმცა მსგავსი რამ უცხოეთშიც გვხვდება. შეიქმნება იურისტთა ჯგუფი, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებს, რადგან ეს მარტო სპორტის სამინისტროს გადასაწყვეტი არ არის. იმ კლუბებზე, რომლებიც დღეს სხვადასხვა უწყებიდან ფინანსდებიან, ვისაუბრეთ მინისტრებთან და შევთანხმდით, რომ ამ ეტაპზე მათთვის დაფინანსების შეწყვეტა არ შეიძლება, რადგან დაზარალდება ეროვნული ჩემპიონატები როგორც ფეხბურთში, ასევე კალათბურთსა და რაგბიში. ამიტომ სეზონის ბოლოს კიდევ ერთხელ დავუბრუნებით ამ საკითხს და იქ უფრო დეტალურად განვიხილავთ ყველაფერს. უპირველესად, დაფინანსების ფორმა უნდა დარეგულირდეს. მაგალითად, „არმინის“ კალათბურთელთა გუნდის 5 ლეგიონერის საფასური, ალბათ, 3 კლუბს შეინახავდა, თან არაკონკურენტუნარიანი გარემო და საჩემპიონატო დისკომფორტიც არ შეიქმნებოდა. ოქროს შუალედი უნდა გამოვნახოთ, რომელიც კანონით დარეგულირდება.

აქვე დავძენ, რომ სასპორტო სკოლების გაუქმება შეცდომა იყო. ცხადია, საკლუბო სისტემა უნდა განვითარდეს, მაგრამ სასპორტო სკოლების არსებობა მუნიციპალური დაფინანსების საფუძველზე აუცილებელია. თუმცა ეს არ გამორიცხავს კერძო ინვესტიციების განვითარებას.

— დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელთა შეხვედრამ. რა იყო ეს — გულახდილი დიალოგი თუ სამინისტროს დირექტივა...

— მხოლოდ სამუშაო შეხვედრა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ყველამ საკუთარ გულში ჩაიხედოს. ეს არის ჩემი ადამიანური რჩევა. ყველას თავისი მორალი აქვს. მე გამოვდივარ ურთიერთობიდან, ფეხბურთიდან და არა პიროვნებებიდან. როგორც საჯარო მოხელეს, უფლება მაქვს, ყველა კითხვაზე მივიღო დასაბუთებული პასუხი, ეს არ უნდა გაიგონ როგორც დირექტივა. სახელმწიფო უწყებას 90 პროცენტით რომ აფინანსებს, უფლება აქვს შესაბამისი საბუთიც მოითხოვოს ან, უკეთეს შემთხვევაში, უმჯობესი ვარიანტი შესთავაზოს. თქვენი აზრით, ეს ჩარევა იქნება თუ პარტნიორობა? ზედმეტად სიტუაციის დაძაბვა ნამდვილად არ მსურს, ადამიანები ვართ და, შესაძლოა, ყველას მოგვივიდეს შეცდომა, მაგრამ იმის ვაჟკაცობაც უნდა გვეყოს, რომ ეს ვაღიაროთ და ქცევით მაინც გამოვასწოროთ. პიროვნებებს არ შევეხები. მხოლოდ დარგის განვითარებაზე ვილაპარაკებ.

— მაშინ ეს გვითხარით, გვჭირდება საქართველოში ამდენი ხელოვნურსაფრიანი მოედანი?

— ხელოვნურსაფრიანი მოედნები მიღებულია იმ ქვეყნებშიც, სადაც ამინდი ზამთრობით მკაცრი არ არის, როგორც, მაგალითად, ჩრდილოეთში. ეს სიახლე ბიზნესმა დანერგა. ევროპულმა ქვეყნებმა კი მიიღეს, ჩვენც არ უნდა ვთქვათ უარი, მაგრამ საკითხავია, რა მასალა ჩამოდის და როგორი ტექნოლოგიებით ხდება მათი დაგება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ხელოვნურთან ერთად ბუნებრივსაფრიანი მოედნებიც უნდა გვქონდეს, ოღონდ ხარისხიანი, რისი დეფიციტიცაა საქართველოში.

საერთოდაც, სპორტული ბაზების მშენელობასთან დაკავშირებით, როგორც აღვნიშნე, უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი, ბევრი ბაზა თანამედროვე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. სპორტის განვითარებაში აქტიურად უნდა ჩავრთოთ კერძო სექტორი.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2015 წელს თბილისმა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უნდა უმასპინძლოს. ამ შეჯიბრებისთვის ოლიმპიურ სოფელთან ერთად უნდა აშენდეს ახალი დარბაზები, არსებულის რეაბილიტაციაა საჭირო. 2013 წელს გარდამავალ ეტაპად უნდა გამოვიყენოთ, რათა მმართველობის სწორი სისტემა ჩამოვაყალიბოთ. ბევრი ადამიანი გვპირდება თანადგომას, მათ შორის ისინიც, რომლებიც წლების წინათ წავიდნენ საქართველოდან. გია რაფავამ მენსკის ოპერაციაც კი გადადო და ოჯახთან ერთად ჩამოვა ამ დღეებში, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი კი ნაახალწლევს აპირებს სამშობლოში დაბრუნებას. მთავარია, ერთსულოვნება იყოს და ყველა პრობლემას იოლად დავძლევთ.

ვაჟა დანელია

ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან

საქართველო, იტალია, თურქეთი, ლიტვა და უკრაინა ფიბა-ს უპირისპირდებიან!

18 ნოემბერს ევრობასკეტი 2013-ის წილისყრა გაიმართება. ღონისძიება სლოვენიის ერთ-ერთ მთავარ სიამაყე პოსტოინას გამოქვაბულში გაიმართება. როგორც დიალოგის დაწყებამდე კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, იგი სლოვენიელებს გაუფრთხილებიათ, გამოქვაბულში დაბალი ტემპერატურა იქნება და თბილად შეიმოსეთო. როგორც მიხვდით, გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ ბესიკთან, რომელიც ფედერაციის გენერალურ მდივან მერაბ რატიშვილთან ერთად წილისყრაზე დასასწრებად გაემგზავრა. საუბარი არანაკლებ მნიშვნელოვანი თემით დავიწყეთ - ფიბა-ს საიტზე გამოქვეყნდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ჩატარების ახალი სისტემა-გრაფიკი, რომლის მიხედვით ეს შეჯიბრებები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართება, არადა, ევრობასკეტი დღემდე ორ წელში ერთხელ ტარდებოდა...

- ფიბა-ს გადაწყვეტილებას არ შეიძლებოდა პოზიტიურად შევხვედროდით. საიტზე ეს ინფორმაცია რომ წავიკითხეთ, გავესაუბრეთ ჩვენს მეგობრებს, რამდენიმე ევროპული ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს: არვიდას საბონისს (ლიტვა), დინო მენეგინს (იტალია), თურგაი დემირელს (თურქეთი), ალექსანდრე ვოლკოვს (უკრაინა)... ისინიც აღშფოთებულები არიან და ამბობენ, რომ ფიბა-ევროპამ ფიბა-ს გადაწყვეტილების განხორციელების საშუალება არ უნდა მისცეს.

- სხვა ევროპული ქვეყნების წარმომადგენლები რა აზრისანი არიან?

- ამ საკითხზე წილისყრის წინა დღეს, შაბათს აუცილებლად ვილაპარაკებთ და დანარჩენების პოზიციასაც გავიგებთ. თუმცა, არა მგონია, ახალი სისტემა ვინმეს მოსწონდეს.

- ევრობასკეტის ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარების საკითხი პირველად მაისში გაჟღერდა. მაშინ ბრძანეთ, ამის გამო ბევრი ევროპული ფედერაცია ფიბა-ევროპის პრეზიდენტ ოლაფ რაფნსონს უნდობლობას ვუცხადებთო. ნაკლებად სავარაუდოა, ამჯერადაც მის გარეშე გაეკეთებინა ფიბა-ს მსგავსი განცხადება.

- ფიბა-ევროპის ხელმძღვანელის ხელახალი არჩევნების დანიშვნის საკითხზე სპეციალურად დაქირავებული იურისტები მუშაობენ. სლოვენიაში ჩასვლის შემდეგ გავიგებ, რა სტადიაშია საკითხი. როცა საქმე ევროპის ჩემპიონატების რაოდენობის განახევრებას ეხება, გადაწყვეტილების მიღებამდე ჩვენთან კონსულტაციები აუცილებელი იყო, რადგან სწორედ ფედერაციებზე დგას ფიბა-ევროპა.

- ნოემბერსა და თებერვალში სიამოვნებით ვიხილავთ საქართველოს ნაკრების თამაშებს, მაგრამ ჩნდება კითხვა - NBA-ში მოთამაშეებს თუ გამოუშვებენ კლუბები? როცა კალენდარში სანაკრებო მატჩების შეტანა იგეგმებოდა, ამერიკელებთანაც უნდა ყოფილიყო გარკვეული შეთანხმება.

- პრობლემა სწორედ ისაა, რომ შეთანხმება არ არსებობს. არადა, თავადაც მოგეხსენებათ, რამდენი წარმომადგენელი ჰყავს NBA-ში იტალიას, სერბეთს, ესპანეთს, საფრანგეთს... არის კიდევ ერთი რთულად გადასაჭრელი საკითხი: ევროლიგა ფიბა-ევროპისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. საკითხავია, როგორ შეხვდება იგი ევროლიგის კლუბებიდან ნაკრებში კალათბურთელების გაშვების ამბავს. მოკლედ, არაერთი სერიოზული პრობლემა წამოიჭრა. დანარჩენს სლოვენიაში ჩასვლის შემდეგ გავიგებთ.

- გადავიდეთ წილისყრაზე. როგორ ფიქრობთ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს გამართლებამ საქართველოს ნაკრების სამომავლო გამოსვლაზე?

- წილისყრის წინ გუნდები კალათებში არათანაბრად არიან განაწილებულნი. საქართველო მეხუთე კალათაშია გერმანიასთან, ბელგიასა და ლატვიასთან. ჩვენს ქვემოთ არიან ისრაელი და სერბეთი. აქედან გამომდინარე, წილისყრისას იღბალს დიდი მნიშვნელობა აქვს.

- თუ ქვემოთ არის რამდენიმე გუნდი, რომელთან შეხვედრასაც არ ვისურვებთ, ზედა კალათებში ისეთებმაც მოიყარეს თავი, რომლებსაც სასურველი მეტოქეები შეიძლება დაერქვას.

- მაგალითად მაკედონია, რომელსაც მეტად ასაკოვანი ნაკრები ჰყავს. ასეც რომ არ იყოს, ამ გუნდს კარგად ვიცნობთ და ვიცით, რომ მათთან გამარჯვება შეიძლება. არა მგონია, ბრიტანეთის ნაკრები იმაზე ძლიერი იყოს, ვიდრე ეს ოლიმპიადაზე გამოჩნდა. ზედა ჯგუფებიდან კიდევ რამდენიმე სავარაუდო მეტოქის გამოყოფა შეიძლება, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ მთავარია, საქართველოს ნაკრები როგორი შემადგენლობითა და კონდიციებით შეხვდება ევრობასკეტს.

სუპერლიგა 2012-13. IV ტურის რჩეულნი

კეშელავა და ბათუმის პირველი მოგება

მეოთხე ტურში გამართული ხუთი მატჩიდან სამში ფავორიტებმა მეტად იოლად გაიმარჯვეს. ისინი ერთმანეთს დიდი სხვაობით მოგებაში გაეჯიბრნენ. ორი შეხვედრა კი მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და რეგიონალური გუნდების გამარჯვებით დასრულდა - „ბათუმმა“ თბილისში „სოხუმს“ სძლია, ხოლო „ქუთაისმა“ შინ „დინამოს“ აჯობა.

მართალია, მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით ტურში შსს-ელი **კირკ არჩიბეკი** (36) და ოლიმპელი **აკაკი დვალიშვილი** გამოირჩნენ (31), მაგრამ ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესოდ დაძაბული ბრძოლის მონაწილე **ლაშა კეშელავა** დავასახელეთ, რომლის „ბათუმმა“ სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. მან 6-დან 4 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო გადამწყვეტ მომენტში არაერთი ჯარიმა შეასრულა ზუსტად.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



სოხუმი-ბათუმი	67:75
შსს აკადემია-რუსთავი	88:44
ოლიმპი-თსუ	98:51
არმია-სტუ	95:42
ქუთაისი-დინამო	90:78

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკორდები

ქულა
30 - კირკ არჩიბეკი (შსს აკადემია)
2-ქულ 10/16; 3-ქულ 0/0; საჯ 10/14
27.10.12 შსს-სოხუმი

მოხსნა
16 - სტეფან მილოშევიჩი (ოლიმპი)
(მეტოქ: 6; საკუთ: 10)
03.11.12 ოლიმპი-ბათუმი

პასი
12 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.11.12 შსს-თსუ

ჩაჭრა
5 - ზვიად ბაბიაშვილი (არმია)
10.11.12 არმია-სტუ

დაფარება
8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

ქულა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	ქ	ქ.საშ.
1	კირკ არჩიბეძი	შსს აკადემია	4	90	22.5
2	ირაკლი ჩლაიძე	სოხუმი	3	66	22
3	ლამარ კარიმი	დინამო	4	83	20.75
4	გივი ბაძრაძე	თსუ	4	72	18
5	ლევან ფაცაცია	ოლიმპი	3	52	17.33
6	რიჩარდ მათიაშვილი	ქუთაისი	4	66	16.5
7	ნეით ბოუი	რუსთავი	4	65	16.25
8	გიორგი ნანიტაშვილი	ბათუმი-რსუ	4	64	16
9	მილან ოლუიჩი	დინამო	4	58	14.5
10	კაელ ნელსონი	რუსთავი	4	56	14
11	სტეფან მილოშევიჩი	ოლიმპი	3	42	14
12	ჩად პრევიტი	შსს აკადემია	4	54	13.5
13	აკაკი დვალიშვილი	ოლიმპი	3	40	13.33
14	ზუბა კვიმსაძე	ქუთაისი	4	53	13.25
15	ვახტანგ ძადარია	სოხუმი	3	39	13

მოხსნა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	მ.დაც	მ.შეტ.	მ.სულ	მ.საშ.
1	სტეფან მილოშევიჩი	ოლიმპი	3	17	22	39	13
2	ვახტანგ ძადარია	სოხუმი	3	14	23	37	12.33
3	კირკ არჩიბეკი	შსს აკადემია	4	20	26	46	11.5
4	მილან ოლუიჩი	დინამო	4	15	25	40	10
5	სერჟი ასელაინი	თსუ	3	6	23	29	9.67
6	რიჩარდ მათიაშვილი	ქუთაისი	4	9	29	38	9.5
7	კაელ ნელსონი	რუსთავი	4	10	22	32	8
8	იოაკიმ შელგომი	არმია	3	12	11	23	7.67
9	ჩად პრევიტი	შსს აკადემია	4	10	20	30	7.5
10	დეონტა ვონი	შსს აკადემია	3	1	21	22	7.33
11	ლაშა კეშელავა	ბათუმი-რსუ	4	5	24	29	7.25
12	ლუკა ნოზაძე	თსუ	4	13	16	29	7.25
13	აკაკი დვალიშვილი	ოლიმპი	3	10	11	21	7

პასი

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	პ	პ.საშ
1	დეონტა ვონი	შსს აკადემია	3	28	9.33
2	სტენ სოკი	ოლიმპი	3	22	7.33
3	ზაურ ფაშაევი	ქუთაისი	4	21	5.25
4	რევაზ დიდია	ქუთაისი	4	18	4.5
5	ლამარ კარიმი	დინამო	4	18	4.5
6	რატი ზააკაშვილი	სოხუმი	3	13	4.33
7	ვახტანგ ჩქარეული	თსუ	4	17	4.25
8	ნეით ბოუი	რუსთავი	4	17	4.25
9	რევაზ როგავა	შსს აკადემია	4	16	4
10	ზუბა კვიმსაძე	ქუთაისი	4	16	4
11	ირაკლი მიძელაძე	ოლიმპი	3	12	4
12	გიორგი გაფრინდაშვილი	თსსუ	3	12	4

ჩაჭრა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	ჩ	ჩ.საშ
1	ნეით ბოუი	რუსთავი	4	13	3.25
2	ირაკლი ძიძიგური	სტუ	4	10	2.5
3	დეონტა ვონი	შსს აკადემია	3	7	2.33
4	აკაკი დვალიშვილი	ოლიმპი	3	6	2
5	კურტის მილიჯი	არმია	3	6	2
6	გიორგი ზარზაძაძე	ქუთაისი	4	8	2
7	მიხეილ ჟოჟუა	რუსთავი	4	7	1.75
8	ზურა მაჩალაძე	სტუ	4	7	1.75
9	ზაურ ფაშაევი	ქუთაისი	4	7	1.75

დაფარება

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	დ	დ.საშ
1	მილან ოლუიჩი	დინამო	4	15	3.75
2	რომან ტუკვაძე	თსსუ	3	4	1.33
3	რიჩარდ მათიაშვილი	ქუთაისი	4	5	1.25
4	კირკ არჩიბეკი	შსს აკადემია	4	5	1.25
5	იოაკიმ შელგომი	არმია	3	3	1
6	ვახტანგ ძადარია	სოხუმი	3	3	1

შეცდომა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	შ	შ.საშ
1	გიორგი გაფრინდაშვილი	თსსუ	3	16	5.33
2	გივი ბაძრაძე	თსუ	4	18	4.5
3	გიორგი ხანიაშვილი	თსუ	4	15	3.75
4	ზაურ ფაშაევი	ქუთაისი	4	15	3.75
5	რევაზ დიდია	ქუთაისი	4	14	3.5
6	ნიკა რამიშვილი	ბათუმი-რსუ	4	14	3.5
7	გიორგი ნანიტაშვილი	ბათუმი-რსუ	4	14	3.5
8	ირაკლი ძიძიგური	სტუ	4	14	3.5

ქადრაკი

ქალებს ახალი ჩემპიონი ეყოლებათ

დედოფალი ძლეულია, ტახტი თავისუფალია

ეს სენსაციაა — ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს (ჩინეთი) ტახტი დაათმობინეს: ხანტი-მანსიისკში, სადაც ნოკაუტსისტემით მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, პოლონელმა მონიკა სოჩკომ ჰოუ იფანთან პაექრობისას მეორე რაუნდის პირველი კლასიკური პარტია თეთრებით დათმო, მაგრამ შავებით წონასწორობა აღადგინა და გუშინ მეტოქეს ტაი ბრეიკებში დაუპირისპირდა: 25-წუთიანი ორივე პარტია (ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) სოჩკომ მოიგო და ჭადრაკის დედოფალს ტახტი გაათავისუფლებინა. ჩინელმა, მართალია, ჩემპიონის უფლებამოსილება დათმო, მაგრამ, როგორც ფიდეს ქალთა გრან პრის გამარჯვებულს, უფლება აქვს, გაისად დაფნის გვირგვინის მომავალი მფლობელი დუელში გამოიწვიოს.

გუშინ კიდევ ერთი ფავორიტი ჩამოშორდა კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას — ანა მუზიჩუკმა (სლოვენია), ასევე, ორივე 25-წუთიანი პარტია წააგო ანა უშენინასთან (უკრაინა). სამწუხაროდ, შეჯიბრებას გამოეთიშა **ნინო ხურციძეც,** რომელიც ჩინელმა ჟაო სიუმ დაამარცხა — 1,5:0,5. ტაიბრეიკებში წარმატებას მიაღწიეს რუსმა ნადეჟდა კოსინცევამ (სომეხ ლილით მკრტჩიანს აჯობა 3,5:2,5), ამერიკელმა ირინა კრუშმა (ორგზის ევროპის ჩემპიონი შვედი პია კრამლინგი დაჯაბნა — 3:1) და ჩინელმა ცზიუ ვენძიუნმა (ამერიკელ ანა ზატონსკიხს 4:2 მოუგო).

ამდენად, მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში 16 უძლიერესი დიდოსტატი გავიდა: მონიკა სოჩკო (პოლონეთი), ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), ანა უშენინა (უკრაინა), ჟაო სიუ (ჩინეთი), **ლელა ჯავახიშვილი** (საქართველო), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი), ჰუან ძიანი (ჩინეთი), მარი სებაგი (საფრანგეთი), ალისა გალიამოვა (რუსეთი), ირინა კრუში (აშშ), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი), მარია მუზიჩუკი (უკრაინა), ნატალია პოგონინა (რუსეთი), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი), ანტონეტა სტეფანოვა (ბულგარეთი).

დღეს მე-3 რაუნდის პირველი ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია

ლიდერებს ქულით ჩამორჩნენ

არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის მთავარი ტურნირის მე-4 ტურში პირველი მარცხი იწვნია ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა **ბაადურ ჯობავამ** — შავი ფიგურებით მან სერგეი ფედორჩუკთან (უკრაინა) წააგო. **მიხეილ მჭედლიშვილი** დრაგან სოლაკს (თურქეთი) დაუზავდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ ვლადისლავ ტკაჩიევი (საფრანგეთი) — სურია განგული (ინდოეთი), ელთაჯ საფარლი (აზერბაიჯანი) — ალექსანდრ მოისეენკო (უკრაინა), გადირ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) — ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი). ეტიენ ბაკრომ (საფრანგეთი) ანდრეი სუმეცს (უკრაინა) სძლია.

ოთხი ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით განგული და ფედორჩუკი დაწინაურდნენ. ჯობავას და მჭედლიშვილს თითო ქულით ნაკლები აქვთ.

ვაჟა დანელია

გაფრინდაშვილი მეწინავეობს

საბერძნეთში ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე **ნონა გაფრინდაშვილი** შავი ფიგურებით გერმანელ საერთაშორისო ოსტატ მარტინა ბელცს დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ნატალია ტიტორენკო და ელენა ფატალიბეკოვა (ორივე — რუსეთი), სვეტლანა ბელიაევა (რუსეთი) — **ნინო მელაშვილი, თამარ ხმიადაშვილი** ელენა ანკუდინოვასთან (ყაზახეთი) დამარცხდა, სვეტლანა მედნიკოვამ (რუსეთი) ოლგა ლოპატინას (გერმანია) სძლია.

4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით გაფრინდაშვილი, ბელცი, ანკუდინოვა და მედნიკოვა მეწინავეობენ. მელაშვილს 2,5, ხმიადაშვილს კი 2 ქულა აქვს.

მე-5 ტურში ჩვენებურები ასე დაწყვილდნენ: ანკუდინოვა — გაფრინდაშვილი, მელაშვილი — ტიტორენკო, კაბანოვა — ხმიადაშვილი.

ვაჟა დანელია

ფინიშამდე ორი ჯურით აღრე

სლოვენიურ მარიბორში 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე გუშინ მე-9 ტურის პარტიები გაიმართა.

8-წლიანები: დიანა ლომაია — ანასტასია ბირანი (ბელარუსი) 0:1, **ნიკოლოზ კაჭარავა** — იუჰან იანი (ჩინეთი) 0,5:0,5.

10-წლიანები: აბდულა გადიმბაიილი (აზერბაიჯანი) — **ლუკა ობოლაძე** 1:0, **ნიკოლოზ პეტრიაშვილი** — ალექს ქსტულოვიჩი (უნგრეთი) 1:0, იაკობ კოსაკოვსკი (პოლონეთი) — **დავით კამკია** 1:0.

12-წლიანები: აისა აქსოი (თურქეთი) — **ლილე ქორიძე** 1:0, ლეონ ლივაჩი (ხორვატია) — **ირაკლი ახვლედიანი** 1:0.

14-წლიანები: ნინო ხომერიკი — დინარა დორძიევა (რუსეთი) 1:0, **ნინო დახუნდარიძე** — ირინა დროგოვოზი (რუსეთი) 0,5:0,5, სვეტლანა სუჩიკოვა (სლოვაკეთი) — **მაია მუმლაძე** 1:0, გიორგი სიბაშვილი — მანუელ პეტროსიანი (სომხეთი) 0:1, **ნოე თუთიასანი** — არი დალი (ავსტრია) 1:0.

16-წლიანები: ნატო იმნაძე — სარასადატ ხადემალშარი (ირანი) 0,5:0,5, აიტან ამრაევა (აზერბაიჯანი) — **ანა შამათავა** 1:0; დენის ვაგნერი (გერმანია) — **ირაკლი ბერაძე** 1:0, **გიგლა ბენიძე** — **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 0,5:0,5.

18-წლიანები: მერი არაბიძე — სარანია (ინდოეთი) 0:1.

ვაჟა დანელია

ნოემბრის ტესტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯღალოსნები იმუქრებიან: იაპონიას ისე გადავყლაპავთ, ყელში არ გაგვეჩხირება

ნოემბრის ტესტების პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები დღეს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე იაპონიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ორივე გუნდმა გუშინ ბოლო, კაპიტნის ვარჯიში გამართა. მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა კი პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს უპასუხეს.

„ბორჯღალოსნები“ იაპონელებთან საომრად ემზადებიან

პირველად მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე იაპონელები გამოჩნდნენ. ჟურნალისტებისთვის მხოლოდ ვარჯიშის საწყისი ათი წუთი იყო ღია და მერე ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა დახურულ კარს მიღმა ივარჯიშეს.

ედი ჯონზი, იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

„საქართველოს ნაკრებს კარგად ვიცნობ. გუნდის მორაგბეთა უმრავლესობა საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში თამაშობენ. ძირითადად მორკინალები. უკანახაზელები კი ფედერალ 1 დივიზიონში ასპარეზობენ.

ქართველებს ძალიან ძლიერი შერკინება ჰყავთ. განსაკუთრებით გამოირჩევიან სტატიკურ მდგომარეობაში თამაშისას. უკანა ხაზიდან კარგად ამოაქვთ ბურთი. მგეზავი ფეხით შესანიშნავად თამაშობს. შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზეც ვნახე საქართველოს ნაკრების თამაშები. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი გუნდია.

იაპონიის ნაკრები ამ მატჩისთვის კარგადაა მომზადებული. მთელი 80 წუთის განმავლობაში ბოლომდე ვიბრძოლებთ. მორაგბეებმა კარგად იციან, როგორი რაგბის თამაშისკენ ვისწრაფვით და 2015 წლის მსოფლიოს თასზე სრულიად განსხვავებულ, სხვა რაგბის ვაჩვენებთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ გუნდის თამაშის ხარისხი მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

რუმინელებთან შედარებით ქართველი მორაგბეები უფრო ათლეტურები არიან. ბუნებრივია, თქვენი ნაკრების თამაში შესწავლილი გვაქვს და ვეცდებით ის სუსტი წერტილები, რაც დაცვაში გაქვთ, ჩვენთვის სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

საქართველოს ნაკრებმა მას შემდეგ, რაც სათავეში ახალზელანდიელი მწვრთნელი ჩაუდგა, თამაშის სტილი შეცვალა. მილტონ ჰეიგმა თამაში უფრო გაშალა. რაც მთავარია, გუნდს ახლა შეუძლია მატჩის მსვლელობისას საჭიროების მიხედვით სხვადასხვა სტილით ითამაშოს.

ქართველთაგან გამოვყოფდი მესამეხაზელ მამუკა გორგოძეს, რომელიც ფრანგული „მონპელიეს“ შემადგენლობაში ვნახე და მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ძლიერი მორაგბეა. მომწონს ასევე გარემარბი ირაკლი მაჩხანელი, რომელიც ძალიან სწრაფია და თამაშის გამწვავება შეუძლია.“

ტოშიაკი ჰიოროში, იაპონიის ნაკრების კაპიტანი:

„ძალიან საინტერესოა ისეთი ძლიერი შერკინების გუნდებთან თამაში, როგორიც საქართველოს ნაკრებია. რაშიც ჩვენ ცოტა მოვისუსტებთ, ვეცდებით, ამის საკომპენსაციოდ უკანა ხაზში ბურთი ჩქარა გავათამაშოთ და მეტოქის შეცდომებით ვისარგებლოთ.“

იაპონელების შემდეგ ასპარეზი საქართველოს ნაკრებს დაეთმო. „ბორჯღალოსნებმა“ მცირე მოთელვის შემდეგ დაცვასა და შეტევაში თამაშზე ივარჯიშეს. ბოლოს კი **ტანა უმაგა** უკანახაზელებს ეხმარებოდა ხარვეზების აღმოფხვრაში.

მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

„გუნდის მომზადებით მწვრთნელი, როგორც წესი, არასდროსაა კმაყოფილი. თუმცა მიმაჩნია, რომ საფრანგეთში გამართულ საწვრთნელ შეკრებაზე და აქაც, თბილისში ნაყოფიერად ვიმუშავეთ.

მთავარი ის არ არის, რა სუსტი მხარეები აქვს მეტოქეს. მთავარია, საქართველოს ნაკრები როგორ ითამაშებს, რამდენად ზუსტად შეასრულებს დავალებას, ტაქტიკურ მონახაზს, რამდენად ხარისხიანად გაირჯება, როგორც დაცვაში, ისე შეტევაში თამაშისას.

ედი ჯონზმა *იაპონიის ნაკრებს თავისი ხელი დაატყო. მორაგბეები ცდილობენ ბურთი შეინახონ, უპირატესობის ხაზი წინ გადასწიონ. ამ მწვრთნელს იგივე სტილი ჰქონდა, როცა „ბრამბიზში“ მუშაობდა. მან ბევრი ახალი სათამაშო სისტემა დანერგა იაპონელთა გუნდში.*

ძალიან მომწონს იაპონიის ნაკრების მესამე ხაზი. გამორჩეულად კარგი მორაგბეა შერკინების შემკვრელი (№8) ტაკაში კიკუტანი. მას შეუძლია ბურთით დიდ მანძილზე გადაადგილება. ცხრა ნომერს სათამაშო არეალს უთავისუფლებენ. ერთი სიტყვით, ამ გუნდის თამაში დაწვრილებით შევისწავლეთ.“

ირაკლი აბუსრიძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

„რთული თამაში იქნება. იაპონიის ნაკრები კარგად ორგანიზებული, სწრაფი გუნდია. აქცენტს მორკინალების თამაშზე გავაკეთებთ და ვეცდებით მათ მიერ მოპოვებული უპირატესობა უკანა ხაზელებმა სათანადოდ გამოვიყენონ.

ტანა უმაგა ძირითადად ტექნიკური წუნის აღმოფხვრაში გვეხმარება. ახალი სისტემის დანერგვას მოკლე ხანში ვერ მოასწრებს, რომ სცადოს, პირიქით, ყველაფერი აირევა. ამიტომ, ჯერ მხოლოდ ხარვეზებზე ამახვილებს ყურადღებას.“

დავით ზირაქაშვილი, საქართველოს ნაკრების ბურჯი:

„ბოლო დროს სულ იაპონელების ორგანიზებულობაზე მესმის ლაპარაკი. მინდა გითხრათ, რომ ჩვენც არანაკლებ ორგანიზებული და მონდომებულნი ვართ. გვითხრეს, რომ მათმა წარმომადგენელმა, როცა ჩვენი გუნდის შემადგენლობა გაიგო, სიხარული ვერ დამალაო. ამდენი ხანია მათ ამბებს ვღეჭავთ და ხვალ ისე გადავყლაპავთ, რომ ყელში არ გაგვეჩხირება.“

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და იაპონიის ნაკრებებს აქამდე ერთხელ უთამაშიათ. 2006 წლის მაისში „ბორჯღალოსნები“ მეტოქეს სტუმრად დაუპირისპირდნენ და 7:32 წააგეს.

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თამაში დღეს, 15 საათზე დაიწყება.

ბურთით ირაკლი აბუსერიძე, მარცხნიდან: ვიქტორ კოლელიშვილი, დავით კაჭარავა და გიორგი ნემსაძე

საქართველო-იაპონია

საქართველო: 15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. გიორგი ნემსაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. მამუკა გორგოძე.

16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. მიხეილ ნარიაშვილი, 18. დავით ქუბრიაშვილი, 19. ვახტანგ მაისურაძე, 20. გიორგი ბეგაძე, 21. გიორგი თხილაიშვილი, 22. ლაშა ხმალაძე, 23. თედო ზიბზიბაძე.

იაპონია: 15. აიუმუ გორომარუ, 14. ტოშიაკი ჰიოროში, 13. ტომოჰირო სენბა, 12. ჰარუმიჩი ტატეკავა, 11. ჰიროტოკი ონოძავა, 10. კოსი ონო, 9. ფუმიაკი ტანაკა. 1. იუსუკე ნაგაე, 2. შოთა ჰორი, 3. კენსუკე ჰატაკეიამა, 4. ჰოტოში ონო, 5. ლუკ თომპსონი, 6. ჰენდრიკ ტუი, 7. მაიკლ ლიტჩი, 8. ტაკაში კიკუტანი.

16. ჰარუკი ოტა, 17. ტაკუმა ასაჰარა, 18. ჰიოროში იამასიტა, 19. მაიკლ ბროდჰურსტი, 20. ტიუ ჰოლანი, 21. აცუში ჰივასა, 22. იუ ტამურა, 23. გო არუგა.

მსაჯი: გლენ ჯექსონი (ახალი ზელანდია)

ბესიკ ჯანგავაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

ქართული სპორტი

● ტყვიის სროლა. ქველიაშვილის თასი

ქართული ჯურნირის მალაიზიელი სტუმარი

ამ უქმეებზე ნინო სალუქვაძის სახელობის ტირი კიდევ ერთხელ უმასპინძლებს სახელოვანი ქართველი მსროლელის, ევროპის სამგზის ჩემპიონისა და ოლიმპიური ვერცხლის მფლობელ შოთა ქველიაშვილის სახელობის მემორიალს.

შეჯიბრება მხოლოდ პნევმატური იარაღიდან სროლაში ტარდება და ნინამორბედებთან შედარებით უფრო წარმომადგენლობითი იქნება - მონაწილეთა რაოდენობაც გაიზრდება და გუნდებისაც. უცხოელთაგან ამჯერადაც ძირითად მასას აზერბაიჯანელები შეადგენენ, თუმცა ახლა მათ მალაიზიელი მსროლელიც დაემატა - ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **დევი დასი იშვარი ჯანავა**. ალბათ, გაგიკვირდებათ, სად მალაიზია და სად - ევროპაო, მაგრამ სინამდვილეში ეს ქალი ეროვნებით უკრაინელია - **ირინა კოჩეროვა**, რომელიც წლების წინ გადასახლდა მალაიზიაში და გვარ-სახელიც შეიცვალა. ის ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც გამოდიოდა და სწორედ იმ პერიოდში გახდა ევროპის ჩემპიონი - 1987 წელს ფინურ ლახტში (მანამდე ამ ტიტულს ორჯერ - 1980-81 წლებში ახალგაზრდებში დაეუფლა), 1986 წელს კი გერმანულ შულში მსოფლიოს ვერცხლი მოიპოვა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მალაიზიაში გადასვლის შემდეგ ასტროლოგიითა და მედიტაციით გატაცებული მსროლელის წარმატებამ იკლო.

ადრინდელთან შედარებით, ბევრად მრავალრიცხოვანი გუნდით იქნებიან აზერბაიჯანელებიც - 11 კაცით. ცხადია, იქნება მსოფლიოს სამგზის ვიცე-ჩემპიონი, ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **ირადა აშუმოვაც**.

სამწუხაროდ, ამჯერად ვერ მოხერხდა სერბეთის, ბულგარეთისა და უკრაინის გუნდების ჩამოყვანა. თუმცა ამათგან გუნდად მხოლოდ სერბებს ელოდნენ, დანარჩენთაგან კი სალუქვაძე თითო მსროლელს იწვევდა - უკრაინიდან მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ოლენა კოსტევიჩს**, ბულგარეთიდან - ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **მარია გროზდევას**. დროში შეუთავსებლობის გამო (მაგალითად, უკრაინაში ახლა შიდა ტურნირი ტარდება, სერბები კი შეკრებაზე არიან) მათი ჩამოსვლა ვერც მოხერხდა, თუმცა არც ქართულმა მხარემ იაქტიურა, ვინაიდან ასეთი დონის სპორტსმენთა სამასპინძლოდ სათანადო ბაზა არაა.

სალუქვაძის სახელობის ტირში შეჯიბრება დღესაც და ხვალაც 11 საათზე დაიწყება. დღეს ქალები და ვაჟები იასპარეზებენ, ხვალ კი სასროლეთი ახალგაზრდებს დაეთმობათ. ორშაბათს, 13 საათზე დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება, სამშაბათს კი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია, სადაც ჯერჯერობით ერთი კანდიდატია - **კობა ბექაური**.

ირაკლი თავაძე

● სუმო. კიუშუს ბაშო. 11-25 ნოემბერი

ზედიზედ მეხუთე მარცხი



ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) დიდ ჩემპიონთან ვერას გახდა - **ჰარუმაფუჯიმ** ჯერ ყელში წაუჭირა ხელი მას და ცაციათი დოჰიოს კიდემდე მიიყვანა, შემდეგ მავაში მოიგდო ხელთ და იორიკირის ილეთი განახორციელა. ეს ლევანის მე-5 მარცხია ბაშოზე. დღეს მას კიდევ ერთი დიდი ჩემპიონი, **ჰაკუჰო** ელის.

წააგო **გაგამარუმაც (თეიმურაზ ჯუღელი)**, ვისაც მე-10 მაეგაშირა **იკიოიმ** აჯობა. ქართველ მძიმეწონოსანს 2-4 ბალანსი აქვს და დღეს მე-12 მაეგაშირა **ვაკაკოიუს** ხვდება.

კიუშუს ბაშოს ორი დაუმარცხებელი სუმოისტილა დარჩა - მონღოლი ჰაკუჰო და სეკივაკე **გოეიდო**.

VI დღე (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-ტოჩინოშინი (იორიკირი), ჰაკუჰო-შოჰოზანი (ჰატაკიკომი), გოეიდო-კისენოსატო (იორიტაოში), კოტოშოგიკუ-ამინიშიკი (იორიკირი), კოტოოშუ-კაკრიუ (ოშიდაში), მიოგირიუ-ოკინოუმი (იორიკირი), ჰომაშო-კაისეი (უვატედაშინაგე), ტოჩიოძანი-ტაკაიასუ (კატასუკაში), ტოიოჰიბიკი-ტაკეკაძე (იორიკირი), იკოიი-გაგამარუ (იორიკირი).

სატურნირო მდგომარეობა

6-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), გოეიდო (ოძეკი).

5-1: ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კოტოშოგიკუ (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ტოიონოშიმა (მაეგაშირა 6), იკიოი (მ 10), იოშიკაძე (მ 10), ვაკანოსატო (მ 12), ჩიოტაირიუ (მ 15)... **2-4**: გაგამარუ (მ 7)... **1-5**: ტოჩინოშინი (მ 3).

VUII დღე (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-**ტოჩინოშინი**, ჰარუმაფუჯი-ტაკეკაძე, კოტოშოგიკუ-კაკურიუ, კოტოოშუ-ოკინოუმი, კისენოსატო-მიოგირიუ, გოეიდო-ჰომაშო, ამინიშიკი-ტოჩიოძანი, კაისეი-შოჰოზანი, ტოიოჰიბიკი-ტაკაიასუ, **გაგამარუ**-ვაკაკოიუ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხელმომწერთა -ს საყურადღებოდ!

ხელმონერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მინოდება. დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ტაიმ-აუტი ლეტლოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ოლიმპიური მედლები



ლონდონი, 2012



● პირველი, პირველმა, პირველად...

* * *

პირველი მატჩი ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩოგბურთში გაიმართა 1905 წლის 21 ნოემბერს.

* * *

პირველმა ფინანსურად მომგებიანი ოლიმპიური თამაშები ჩაატარა ლოს ანჯელესმა 1984 წელს.

* * *

პირველად ბოსტონის ცნობილი მარათონი ჩატარდა 1897 წლის 19 აპრილს.

● ვიქტორინა

1. დაასახელეთ იმ ორი ადამიანის პროფესია, ვისაც ეკუთვნოდა ველოსპორტში დღესდღეობით ყველაზე პრესტიჟული ასპარეზობის „ტურ დე ფრანსის“ ჩატარების იდეა.

ა — ექიმი და ველომრგოლი
ბ — ველოტექნიკოსი და მწვრთნელი
გ — საგაზეთო მაგნატი და ჟურნალისტი

2. რომელი წლიდან ქვეყნდება ფეხბურთში ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგი?

ა — 1988 წლიდან
ბ — 1993 წლიდან
გ — 1997 წლიდან

3. რომელ წელს გაიმართა პირველი ოფიციალური მატჩი ჭადრაკში ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად?

ა — 1886 წელს
ბ — 1902 წელს
გ — 1921 წელს

4. ჩამოთვლილი სპორტის სახეობებიდან რომელი შედიოდა 1900-1920 წლების ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?

ა — ჭადრაკი
ბ — ველოსპორტი
გ — ბაგირის გადაძალვა

5. დაასახელეთ ქვეყანა, რომელსაც მიღებული აქვს მონაწილეობა ფეხბურთში მსოფლიოს ყველა ჩემპიონატში

ა — ურუგვაი
ბ — ბრაზილია
გ — იტალია

პასუხები: 1 — ბ, 2 — ბ, 3 — ბ, 4 — ბ, 5 — ბ.

● არა არს რა დაფარული...

ქალია თუ კაცია?

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, მოწინავე თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებსს დღემდე უჭირს მკვეთრი ხაზის გავლება მამრობითსა და მდედრობით სქესს შორის. დღემდე ჭირს იმის დადგენა, ზოგიერთი ქალი-სპორტსმენი მართლა ქალია, თუ მასში მამაკაცური საწყისი სჭარბობს. ეს საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მძლეოსნობაში, 800-მეტრიან მარათონულ სირბილში სამხრეთაფრიკელმა **კასტერ სემენიმ** გაიმარჯვა. მის ქალობაში შეჯიბრების მონაწილეებმა გარბენის დანყებისთანავე შეიტანეს ეჭვი. ჩემპიონატის მსვლელობის და შემდგომ პერიოდშიც მთავარი კითხვა იყო _ ვინ იყო კასტერი? ქალი, კაცი, ჰერმაფროდიტი, ტრანსსექსუალი... უამრავმა ექსპერტმა გამოთქვა საკუთარი მოსაზრება, ხოლო მთელი მსოფლიო გენდერული ტესტის პასუხის მოლოდინში იყო. საბოლოოდ დადასტურდა, რომ კასტერი ჰერმაფროდიტია და მას როგორც ქალის, ისევე კაცის სასქესო ორგანო აქვს. თუმცა, მისი ფენომენალური სპორტული შედეგის გაუქმება არ გახდა აუცილებელი, რადგან მდედრობითი ჰორმონების სიჭარბემ, კასტერის სპორტულ კარიერას წერტილი არ დაუსვა და 2010 წლის ზაფხულში სპორტსმენი მძლეოსნობას დაუბრუნდა. ახლა კი იმ გახმაურებულ სპორტულ ისტორიებზე მოგითხრობთ, რომელთა მონაწილენი, კასტერ სემენის მსგავსად, გენდერული დისბალანსის მსხვერპლნი გახდნენ.

● თარიღი

17-22 ნოემბერი

17. 1893 წ. დაარსდა საფეხბურთო კლუბი „სპარტა“ (პრაღა).

17. 1973 წ. დაიბადა **ბერნდ შნაიდერი** — ფეხბურთი (გერმანია).

17. 2006 წ. გარდაიცვალა **ფერენც პუშკაში** — ფეხბურთი (უნგრეთი).

18. 1920 წ. დაიბადა **კონსტანტინ ბესკოვი** — ფეხბურთი, მწვრთნელი (რუსეთი).

18. 1970 წ. პროფესიულ კრივში სუპერ მძიმე წონაში **ჯო ფრეზერმა** მეორე რაუნდში ნოკაუტით **ბობ ფოსტერი** დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

19. 1987 წ. გარდაიცვალა (53 წლის) **ჟაკ ანკეტილი** — ველოსპორტი (საფრანგეთი).

19. 1888 წ. დაიბადა **ხოსე რაულ კაპაბლანკა** — ჭადრაკი (კუბა).

19. 1969 წ. ოფიციალურ მატჩებში **პელემ** გაიტანა თავისი მე-1000 გოლი (909 შეხვედრაში).

20. 1953 წ. დაიბადა **გრეგ გიბსონი** — ბ/რ ჭიდაობა (აშშ).

20. 1981 წ. დიდოსტატმა **ანატოლი კარპოვმა** მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში დაამარცხა **ვიქტორ კორჩნოი** (შვეიცარია).

21. 1950 წ. დაიბადა **ალბერტო ხუანტორენა** — მძლეოსნობა (კუბა).

21. 1965 წ. დაიბადა **რეჯი ლუისი** — კალათბურთი, ნბა (აშშ). გარდაიცვალა 1993 წელს.

22. 1901 წ. დაიბადა **ლეონარდო ანდრადე** — ფეხბურთი (ურუგვაი). გარდაიცვალა 1957 წელს.

22. 1956 წ. მელბურნში (ავსტრალია) დაიწყო ზაფხულის XVI ოლიმპიური თამაშები.

22. 1965 წ. პროფესიულ კრივში **კასიუს კლეიმ (მუჰამედ ალი)** სუპერმძიმე წონაში ფლოიდ პატერსონი 12-რაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

22. 1967 წ. დაიბადა **ბორის ბეკერი** (გერმანია) — ჩოგბურთი.

22. 1999 წ. გარდაიცვალა **ფლავიუ კოშტა** — ფეხბურთი (ბრაზილია).

შენიშვნა: ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ხუთშაბათობით "ქართული სპორტის ქრონიკებში" ქვეყნდება.

● კვიმატი ობიექტივი



ჩოგბურთი

რაფა შემდეგ კვირას იწყებს

რაფაელ ნადალი

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** მომავალ კვირას შეუდგება ვარჯიშებს, - წერს ამერიკული პრესა. შეგახსენებთ, რომ რაფა 2012 წლის უიმბლდონის შემდეგ არ გასულა კორტზე მუხლების ტრავმის გამო. შესაბამისად, ნადალმა გამოტოვა ოლიმპიადა და ამერიკის ღია პირველობა. ის ასევე არ ითამაშებს დევისის თასის ფინალში.

„რაფაელს ყველაფერი შესანიშნავად აქვს, მაგრამ ექიმები ამბობენ, რომ მან მყესები უნდა გაიმაგროს. ამ უქმეებზე რაფა დევისის თასის ფინალს მიადევნებს თვალს, შემდეგ კვირას კი ვარჯიშებს შეუდგება“, - განაცხადა ჩოგბურთელის ბიძამ და მწვრთნელმა **ტონი ნადალმა**.

როგორც იცით, ნადალის კორტზე დაბრუნება 27-29 დეკემბერს, აბუ დაბის საჩვენებელ ტურნირზე იგეგმება.

ფორმულა 1

სასჯელი ავარიისთვის



გროსჟანის მიერ ინიცირებული ავარია

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ფორმულა 1-ში პილოტთა ჯარიმების აღრიცხვისთვის სპეციალური ცხრილის შემოღებას აპირებს. ქულების გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდეგ მრბოლელს ავტომატურად მიენიჭება ერთი რბოლით დისკვალიფიკაცია გაუმართლებლად სახიფათო მართვის გამო, - იტყობინება autosport.com.

ჩანაფიქრის თანახმად, თუ პილოტი სეზონის განმავლობაში სამ ავარიაში იქნება დამნაშავე, ეს ავტომატურად გამოიწვევს შემდეგი ეტაპის გამოტოვებას. აღვნიშნავთ, რომ „ლოტუსის“ პილოტი **რომენ გროსჟანი**, რომელიც ბელგიის გრანპრიზე გრანდიოზულ ავარიაში იყო დამნაშავე, ამ საუკუნეში პირველი პილოტი გახდა, ვინც ერთრბოლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

„გვინდა ვნახოთ, როგორ იმუშავებს მსგავსი სისტემა, - აღნიშნა ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა **ჩარლი უაიტინგმა**. - *აქ ყველაფერი ისევეა, როგორც ჩვეულებრივი მართვის მონმობის შემთხვევაში. აგროვებ ბევრ ქულას დარღვევებისთვის და უკვე აღარ შეგიძლია საჭესთან დაჯდომა. მაგალითად, დააგროვებ 12 ქულას - მიიღებ დისკვალიფიკაციას. ყველა დეტალს მოგვიანებით გუნდებთან ერთად განვიხილავთ“.*

■ ■ ■

ბოლო დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გერმანიის გრანპრის მომავალი. ნიურბურგრინგი, სადაც გაისად რბოლა უნდა გამართულიყო,, გაკოტრების პირასაა, ჰოფენჰაიმში კი მზად არ არიან ზედიზედ მეორედ გერმანიის გრანპრის სამასპინძლოდ. მიუხედავად ამისა, **ბერნი ეკლსტოუნი** დარწმუნებულია, რომ პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იქნება.

“დარწმუნებული იყავით – მომავალ წელს გერმანიის გრანპრი გაიმართება, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ ტრასაზე მოხდება ეს, - ამბობს გერმანულ პრესასთან კომენტარში ბერნი ეკლსტოუნი. – *ჩვენ არ ვაპირებთ ამ ეტაპის დაკარგვას. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ გადავარჩინოთ ნიურბურგრინგი“.*

კუბიცა არ ჩქარობს

პოლონელი **რობერტ კუბიცა** ნოემბერში მონაწილეობას მიიღებს ორ რალიში – საფრანგეთისა და იტალიის ტერიტორიაზე, მაგრამ ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი არ ჩქარობს დიდ სპორტში დაბრუნების ზუსტი თარიღის დასახელებას – მისი ხელი ჯერ ბოლომდე არ აღდგა შარშანდელი ავარიის შემდეგ.

“ჯერ ადრეა კონკრეტულ გეგმებზე საუბარი. ისევ ვმუშაობთ ავარიის შემდეგ სარეაბილიტაციო პროგრამაზე, მაგრამ, ცხადია, მინდა უმაღლესი დონის სერიებში გამოსვლა – იქნება ეს რალი თუ ფორმულა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. უკვე მივიღე მონაწილეობა რამდენიმე რალიში, ჩავატარე ტესტები ავტოდრომზე. იმედია, მალე ხელი საბოლოოდ მორჩება და ჩემი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება.

ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც შევწყვიტე ფორმულა 1-ში გამოსვლა. ჩემი კონტაქტები ჩემპიონატთან მინიმალურია, რადგან ეს თვეები კონცენტრირებული ვიყავი იმაზე, რომ სპორტული ფორმა დამებრუნებინა“, - ამბობს კუბიცა

რობერტ კუბიცა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ნიქსი აღარ ხუმრობს

რეგულარული ჩემპიონატის მორიგ სათამაშო დღეს მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა, მაგრამ ძალიან ბევრ საინტერესო მოვლენას ჰქონდა ადგილი. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან სან ანტონიოში ერთმანეთს ხვდებოდნენ კონფერენციის ლიდერები – “სპურსი” და ჯერაც დაუმარცხებელი “ნიუ იორკი”. სწორედ “სან ანტონიოსთან” მატჩი უნდა ყოფილიყო საუკეთესო ტესტი **მაიკ ვუდსონის** გუნდის ამბიციებისა და ძალის შესამოწმებლად, მით უმეტეს, რომ “ნიუ იორკს” სან ანტონიოში ზედიზედ ცხრა მატჩი ჰქონდა წაგებული.

საინტერესო იყო ერთი მომენტი: “ნიქსი” წელს საშუალოდ მხოლოდ 87.8 ქულას უშვებს, რაც ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია, “სპურსის” ანალოგიური მაჩვენებელი კი 92.6 ქულას შეადგენს, რაც ასევე არ არის ცუდი შედეგი. ასე რომ, აღნიშნულ მატჩში დაცვითი კალათბურთის მოლოდინში უნდა ყოფილიყავით.

მაგრამ უკვე პირველივე მეოთხედმა აჩვენა, რომ ორივე გუნდს დაცვა დავიწყებული ჰქონდა: საწყის 12 წუთში მათი ჯამური მონაგარი 64 ქულა იყო. ერთხელ სტუმრებმა ხუთი ქულით მოახერხეს წინ გასვლა, მაგრამ ეს მაქსიმალური სხვაობა იყო. თავიდანვე ბრწყინვალედ ათამაშდა **რეიმონდ ფელტონი**, რომელმაც სასტარტო მეოთხედში ცხრა ქულა ჩაიწერა აქტივში.

მეორე მეოთხედში კარგად წარმოაჩინეს თავი “ნიქსის” რეზერვისტებმა. 6 წუთში **სტივ ნოვაკმა** და **რაშიდ უოლასმა** 14 ქულა დააგროვეს, მაგრამ მოედანზე დაბრუნდა **პოპოვიჩის** გუნდის სასტარტო შემადგენლობა და 12:4 გაქცევა მოაწყო, რამაც “სპურსს” პირველი ტაიმი ორი ქულით მოაგებინა.

ამასობაში, მესამე მეოთხედში გუნდებმა შედეგიანობას უკლეს. ბევრს აცილებდნენ **ტიმ დანკანი** და **ტონი პარკერი**, სტუმრებს კი ბოლო 6 წუთისა და 40 წამის განმავლობაში მხოლოდ სამი ზუსტი საჯარიმო და თამაშიდან ერთი ზუსტი ნასროლი დაუგროვდათ.

მეოთხე მეოთხედი **ტიაგუ სპლიტერის** შესანიშნავი სოლოთი დაიწყო. ბრაზილიელმა ზედიზედ 13 ქულა დააგროვა. ლეგიონერმა მარტომ მოუტანა “სპურსს” 12-ქულიანი უპირატესობა. ისე ჩანდა, რომ ამ დარტყმისგან სტუმრები გონს ვეღარ მოვიდოდნენ.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, “ნიუ იორკი” შემთხვევით არ არის რეგულარულის ლიდერი. **ჯეისონ კიდისა** და ფელტონის დუეტს ორი წუთი დასჭირდა ათი ქულის დასაგროვებლად და სანამ “სპურსი” ამ შოკიდან გამოდიოდა, “ნიქსმა” მალე მეორე სპურტი მოაწყო. იმავე კიდმა, **ტაისონ ჩენდლერმა** და **ჯეი არ სმიტმა** 15:2 გაქცევა განახორციელეს. პოპოვიჩს ორი ტაიმ-აუტის აღება მოუწია, მაგრამ საფინალო სირენამდე 37 წამით ადრე, 95:102-დან მატჩის მოგება შეუძლებელი ჩანდა. დანკანის, პარკერისა და **ლეონარდის** შორეული ტყორცნებიდან მხოლოდ ერთმა მიაღწია მიზანს, ისიც სირენამდე ხუთი წამით ადრე.

ნიუ იორკს წაგება დაავიწდა

სან ანტონიო–ნიუ იორკი 100:104

31:33, 26:22, 19:17, 24:32

ს-ა: პარკერი (19+6 მოხსნა+12 პასი), ლეონარდი (16+9 მოხსნა), დანკანი (14+14 მოხსნა+3 დაფარება), სპლიტერი (13), ჯინობილი (12), ჯექსონი (10+11 მოხსნა).

ნ-ი: ფელტონი (25+7 პასი), სმიტი (17+5 მოხსნა), კიდი (14+3 დაფარება), ჩენდლერი (13+11 მოხსნა), უოლასი (10), ენტონი (9+12 მოხსნა).

რონდოს გარეშე ბოსტონი სხვა გუნდია

სათამაშო დღის გმირად შეიძლება მოინათლოს NBA-ის მოქმედი MVP - **ლებრონ ჯეიმსი**. “დენვერთან” მატჩში ფლორიდელები ტრავმირებული **დუეინ უეიდის** გარეშე თამაშობდნენ, ამიტომაც “მეფეს” დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა – “ჰიტის” გეგმებში არ შედიოდა ბოლო ხუთ გასვლით შეხვედრაში მესამე წაგება. და ჯეიმსაც არ დააღალატა თავისი გუნდი. მისი სტატისტიკა მართლაც შთამბეჭდავი იყო: 27 ქულა, 12 შედეგიანი პასი, 7 მოხსნა, 3 დაფარება და ერთი ჩაჭრა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ლებრონმა საჭირო დროს გამოიჩინა თავი – მატჩის ბოლოს. მეოთხე მეოთხედში მან რვა ქულა დააგროვა, მათ შორის გადამწყვეტი საჯარიმოები ჩააგდო საფინალო სირენამდე 23.7 წამით ადრე. ამის შემდეგ, სხვაობა ექვსი ქულა გახდა და “ნაგეტსს” გადარჩენის მიზერული შანსი დარჩა.

■ ■ ■

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რამდენს ნიშნავს “ბოსტონისთვის” **რაჟონ რონდო**. საკმარისია იმის თქმა, რომ მის გარდა, “სელტიქსის” დამრიგებელ **დოკ რივერსს** შემადგენლობაში ნომინალური პლეიმეიკერი არ ჰყავს. რაჟონის გარეშე “ბრუკლინის” უკანა ხაზს ხელფეხი გაეხსნა. მართალია, **დერონ უილიამსი** და **ჯო ჯონსონი** სიზუსტის დაბალი პროცენტით უტევდნენ, მაგრამ, ამასთან, თავის გამოჩენის ძალიან ბევრ შანსსაც იღებდნენ. **ლეანდრო ბარბოზასა** და **ჯეისონ ტერის** მათ წინააღმდეგ ძალიან გაუჭირდათ. შედეგად, უილიამსმა და ჯონსონმა ერთად 43 ქულა, 12 შედეგიანი პასი და 11 მოხსნა დააგროვეს. “ნეტსმა” კი მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო.



დენვერმა ლებრონი ვერ გააჩერა

ბრუკლინი–ბოსტონი 102:97

31:26, 28:24, 15:29, 28:18

ბრუ: უილიამსი (24+8 პასი), ლოპესი (24+6 მოხსნა+4 დაფარება), ჯონსონი (19+8 მოხსნა), ჰემფრიზი (10+13 მოხსნა).

ბოს: პირსი (22+7 მოხსნა), ბარბოზა (17), გარნეტი (14+7 მოხსნა), ლი (13+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტერი (10+6 პასი).

დენვერი–მაიამი 93:98

20:28, 22:26, 24:25, 27:19

დ: მილერი (19+5 მოხსნა+7 პასი), მაკგი (18+6 მოხსნა), ფარიდი (16+20 მოხსნა), გალინარი (13), ჯ. ჰემილტონი (11), იგუოდალა (10+6 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (27+7 მოხსნა+12 პასი+3 დაფარება), ბატიე (18), ბოში (14), მილერი (12+5 მოხსნა).

ამბები

ახალი არენა ხარებისთვის

„ჩიკაგო ბულზის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კლუბისთვის ახალი არენა ააშენოს. დღეს „ხარები“ United Center-ში თამაშობენ, რომელიც 1994 წელს გაიხსნა. ახალი ბასკეტ-ჰოლი, ილინოისელი ბოსების ჩანაფიქრით, კლუბის ამჟამინდელი არენის გვერდით იქნება განთავსებული.

მგლები ჰოპარდს იმაგებენ

“მინესოტა ტიმბერვულვზმა” შეათანხმა კონტრაქტი “იუტას” ყოფილ მცველთან **ჯოშ ჰოვარდთან**, - იტყობინება NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი.

აღნიშნავენ, რომ 32 წლის კალათბურთელთან ხელშეკრულება ერთი წლით არის დადებული. გასულ სეზონში ჰოვარდი “ჯაზმენების” რიგებში საშუალოდ 8.7 ქულას აგროვებდა.

შეგახსენებთ, რომ “მინესოტას” სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს: ტრავმირებულები არიან **კევინ ლავი, რიკი რუბიო, ნიკოლა პეკოვიჩი, ბრენდონ როი** და **ჩეიზ ბადინგერი** – ძირითადის ოთხი და ერთი სათადარიგო კალათბურთელი.

პაპმ კაპონო გაიფორმა

ევროლიგის მეექვსე ტურში „რეალის“ დამარცხების შემდეგ, „პანათინაიკოსის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა კონტრაქტის გაფორმება NBA-ის ყოფილ ფორვარდ **ჯეისონ კაპონოსთან**.

შარშან, 31 წლის კალათბურთელი „ლეიკერსის“ შემადგენლობაში თამაშობდა და 27 მატჩში საშუალოდ 2 ქულა და 0.5 ქულა დააგროვა. კაპონო რვა წელი თამაშობდა NBA-ში და ორჯერ გახდა „ოლ სტარზე“ სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჰოკეი

სეზონი არა, სტენლის თასი კი?

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დაპირისპირებულ მხარეებს შორის ლოკაუტის დასრულებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების განახლებას არ უნდა ველოდოთ. ESPN-ის ინფორმაციით, ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა** პროფკავშირების აღმასრულებელ დირექტორს **დონალდ ფერს** მოლაპარაკებებზე ორკვირიანი მორატორიუმი შესთავაზა, რაზეც ფერმა უპასუხა, რომ რჩევა უნდა ჰკითხოს თავისი ორგანიზაციის წევრებს. სავარაუდოდ, ბეტმენი პასუხს დღეს მიიღებს. ამერიკელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ პროფკავშირებს მოლაპარაკებების გაგრძელება სურს. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ სეზონი მთლიანად გაუქმდება.

თუმცა ჯერჯერობით ოპტიმისტურად არის განწყობილი ლეგენდარული **უეინ გრეტცკი** - მას მიაჩნია, რომ სეზონის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

"კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება – რამდენიმე კვირის საკითხია. წინათგრძნობა მეუბნება, რომ მომდევნო ექვსი კვირის განმავლობაში ყველაფერი მოგვარდება. ბევრ ადამიანს სურს, რომ ჰოკეის დაუბრუნდეს და თუ იანვარში დავიწყებთ თამაშს, წარმატებით მოესწრება 40-50 მატჩის ჩატარება. მოდით, პოზიტიურად განვეწყოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ პრესაში თამაშების შესახებ დაიწერება და არა, ეკონომიკურ თუ საქმიან საკითხებზე", - ამბობს გრეტცკი.

ამასთან, საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვების თანახმად, ჩრდილოამერიკელი გულშემატკივრების 70 პროცენტს არ სჯერა, რომ 2012-13 წლების სეზონი შედგება.

უნდა დავამატოთ, რომ კანადაში განახლდა ლაპარაკი სტენლის თასის ჰოკეის ეროვნული ლიგისგან დამოუკიდებლად გათამაშების შესახებ. 2004 წლის ლოკაუტის დროს, ტორონტოელმა ადვოკატმა **ტიმ გილბერტმა** დაამტკიცა, რომ ფორმალურად სტენლის თასი არ მიეკუთვნება NHL-ს.

ასე რომ, თეორიულად სტენლის თასის გათამაშება შესაძლებელია – როგორც ჩვეულებრივი პრიზი ნებისმიერ ტურნირზე, მაგრამ ეს იდეა არ მოსწონთ ლიგის ხელმძღვანელებს.

● ამბები

ცურვა

ჯონსმა კარიერა დაასრულა

სამგზის ოლიმპიურმა და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, ავსტრალიელმა **ლიზელ ჯონსმა** 27 წლის ასაკში კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. ეს მოცურავე უკვე 14 წელია, ავსტრალიის პირველ ნაკრებში ირიცხება. ჯონსი ოთხ ოლიმპიადაზე წარმოადგენდა თავის ქვეყანას. ლონდონში მან ვერცხლის მედალი მოიპოვა 4x100 მეტრზე კომპლექსურ ესტაფეტაში. სწორედ ამ დისციპლინაში მოიგო მან ოქროს მედლები ათენისა და პეკინის ოლიმპიადებზე. ასევე მის ანგარიშზეა ოქრო 100 მეტრზე ბრასით ცურვაში.

სულ ოლიმპიადებზე ჯონსის აქტივშია სამი ოქრო, ხუთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო. ჯონსს ექვსჯერ აქვს დამყარებული მსოფლიოს რეკორდი 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში.

მოტოსპორტი

ბრაგედია მაკაოში

სუპერბაიკის კლასში მოასპარეზე პორტუგალიელი მოტომრბოლი **ლუის ფელიპე დე სოუზა კარეირა** Benimoto Suzuki Cetelem-ის გუნდიდან, მაკაოს გრანპრის კვალიფიკაციის დროს დაიღუპა.

35 წლის სპორტსმენი წარუმატებლად შევიდა მოსახვევში და სერიოზულ ავარიაში მოხვდა. კარეირას ტრასაზე აღმოუჩინეს პირველადი დახმარება, შემდეგ კი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ იქ მალე გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით გაუქმდა მაკაოს გრანპრის კვალიფიკაცია.

კარეირა მოტორბოლებში 1998 წლიდან გამოდიოდა. მას რამდენჯერმე აქვს მოგებული პორტუგალიის ჩემპიონატი.

ველოსპორტი

რუი კოშტამ კრისტიანოს გაუსწრო

ველომრბოლმა **რუი კოშტამ** 2012 წელს, პორტუგალიის „წლის საუკეთესო სპორტსმენის" გამოსაცლელ გამოკითხვაში „რეალის" ფორვარდს **კრისტიანო რონალდოს** გაუსწრო.

კოშტა პირველ ადგილზე გავიდა გამოკითხვაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გულშემატკივრები და ექსპერტები. ველომრბოლმა არა მარტო რონალდოს, არამედ 2012 წლის ოლიმპიადის პრიზიორს, ნიჩბოსან **ფერნანდო პიმენტასაც** აჯობა.

კოშტამ, რომელიც საჯინიბო Movistar-ს წარმოადგენს, წლევანდელ სეზონში შვეიცარიის ტური მოიგო, აგრეთვე მე-18 ადგილი დაიკავა ტურ დე ფრანსზე.

პოკერი

5 ათასად გაყიდული ტუალეტი

„ტორონტო მეიპლ ლივზის" გასახდელის ტუალეტი ლეგენდარული „მეიპლ ლივ გარდენის" სტადიონიდან აუქციონზე 5300 დოლარად გაიყიდა. საინტერესოა, რომ ვაჭრობის დროს, რელიქვიის შეძენის სურვილი 49 ადამიანმა გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ „ტორონტო" ამ არენაზე 1933-99 წლებში თამაშობდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

I ლიგა

ტრანმერი-ვილტონი	0:1

II ლიგა

ბარნეტი-აკრინგტონი	1:1

იტალია

სერია B

ვერონა-ჩეზენა	1:1

სერია C1/A

კრემონეზე-პავია	0:1

ესპანეთი

II დივიზიონი

სპორტინგი-პონფერადინა	2:3

გერმანია

II ბუნდესლიგა

დინამო-ფრანკფურტი	2:1
კაიზერი-კოტბუსი	1:0
მიუნხენი-კიოლნი	0:2

III ბუნდესლიგა

ჰაიდენჰაიმი-ზაარბრიუკენი	3:0

რეგიონალლიგა (ჩრ)

მეპენი-ობერნოიილანდი	2:1
ვერდერი II-ოლდენბურგი	2:3
ვილჰელმშავენი-კლოპენბურგი	0:3

რეგიონალლიგა (ჩ–ა)

ლაიპციგი-კოტბუსი II	3:0
აუერბახი-ნოიშტრელიცი	1:0

რეგიონალლიგა (ლ)

ლოტე-ობერჰაუზენი	4:1

რეგიონალლიგა (ს–დ)

აინტრახტი II-ბაიერნი (ა)	0:1
ჰომბურგი-კაიზერი II	1:2

რეგიონალლიგა (ბაიერნი)

ზელიგენპორტენი-რაინი	3:0
ინგოლშტადტი II-ნიურნბერგი II	2:2
ელტერსდორფი-ფრონლახი	2:0
მემინგენი-ბუხბახი	0:2

საფრანგეთი

ლორიანი-ლილი	2:0

საფრანგეთის თასი

კოლმარი-ეტუალი	5:0
დიჟონი-სედანი	1:1 დ.დ. 1:2
ნიმი-ლუზენაკი	1:1 პენ. 4:2

პოლანდია

II დივიზიონი

ემენი-ეინდჰოვენი	2:2
ექსელსიორი-ტოპ ოსი	1:3
დენ ბოშ-ალმერი	0:2
დორდრეჰტი-მაასტრიხტი	3:3
ფორტუნა-სპარტა	1:3
იგლზი-აპელდორნი	2:2
ჰელმონდი-ვოლენდამი	2:0
ტელსტარი-ვეენდამი	0:0

ბელგია

II დივიზიონი

მუსკრონი-ლომელი	3:1
ჰაისტი-სტ. ნიკლაასი	1:2

პორტუგალიის თასი

1/16 ფინალი

პამპილოზა-ბრაგა	1:3
მორეირენსე-ბენფიკა	0:1

შოტლანდია

დანდი იუნ-კილმარნოკი	3:3

I დივიზიონი

ჰემილტონი-პარტიკი	1:0

დანია

აგფ ორჰუსი-ნორდსილანდი	0:2

ავსტრია

II დივიზიონი

გლაუ ვაისი-სტ. პოლტენი	2:2
ჰარტბერგი-ალტახი	0:0
კაპფენბერგი-გრიოდიგი	2:0
ვენა-ჰორნი	3:0
ლუფტენაუ-აუსტრია (ლ)	0:1

თურქეთი

გალათასარაი-ძარაგუძი	1:3

უელსი

ბანგორი-ეირბასი	2:0
ძონეჰსი-ნიუთაუნი	2:1

ჩეხეთი

იულავა-ბუდეიოვიცე	1:0

სლოვაკეთი

მორავცე-კოშიცე	1:0

რუსეთი

II დივიზიონი

პეტროტრესტი-ენისეი	2:1
ხიმკი-როტორი	1:0

პოლონეთი

ზაგლებე-ბელხატოვი	1:0
ლეჩია-ვიძევი	2:0

ხორვატია

ინტერი-ისტრა	2:0

უნგრეთი

ლომბარდ პაპა-დიოშდიორი	2:2
უიპეშტი-შიოფოკი	4:2

რუმინეთი

კლუჟი-ასტრა	0:2
გლორია-ბრაშოვი	1:1
პეტროლული-უნივერსიტატეა	2:0

ჩრ. ირლანდია

გალინამალარდი-დონეგალი	0:0

ავსტრალია

ბრისბენი-სიდნეი	4:2

მინი-ფეხბურთი

მს. ჩემპიონატი

1/2 ფინალი

იტალია-ესპანეთი	1:4
ბრაზილია-კოლუმბია	3:1

კალათბურთი

ევროლიგა

ეფესი-მილანი	77:71
კახა ლაბორალი-ოლიმპიაკოსი	72:89
ვილერბანი-პარიზი	82:76
სტრასბური-როანი	61:63

პოკერი

კულ

ავანგარდი-ტრაქტორი	3:4 (ბ)
ბარისი-ავტომობილისტი	7:2
იუგრა-მეტალურგი (მ)	3:2
ლოკომოტივი-ლევ პოპრადი	2:1 (ო)
სევერსტალი-დინამო (მ)	4:2
ტორპედო-ცსკა	1:6
ატლანტი-სლოვანი	0:2
ვიტიაზი-სკა	2:3
სპარტაკი-აკ ბარსი	1:3
დონბასი-ს. იულიაევი	4:1
დინამო (რ)-ნეფტეხიმიკი	6:4

ავსტრია

ზაგრები-კლაგენფურტი	4:1
ვენა-ლინეცი	1:2
ზალცბურგი-გრაცი	1:4
ზნოიმო-დორნბირნი	6:2
ინსბრუკი-ალბა	0:9
ოლიმპია-ვილახი	3:2

გერმანია

აისბარენი-კრეფელდი	3:4 (ო)
აუგსბურგი-დიუსელდორფი	5:1
ვოლფსბურგი-ნიურნბერგი	2:1
ჰამბურგი-შტრაუბინგი	4:1
ჰანოვერი-მიუნხენი	3:1
ინგოლშტადტი-მანჰაიმი	1:2

დანია

როდოვრე-ჰერნინგი	1:2
ესბერგი-ოლბორგი	2:4
კოპენჰაგენი-ფრედრიკშავენი	2:4
სონდერიისკი-ოდენსე	5:2

სლოვაკეთი

პოპრადი-კოშიცე	3:4
ტრენჩინი-მარტინი	3:4 (ბ)
ზვოლენი-ჟილინა	5:3
პიესტანი-სკალიცა	2:1
ბისტრიცა-ნიტრა	3:4 (ბ)

ფინეთი

ილვესი-ესეტი	1:3
ლუკო-პელიკანსი	6:2
იუვიასკიულა-ტაპარა	4:3 (ბ)

ჩეხეთი

ულინი-სპარტა	2:3
ლიტვინოვი-პარდუბიცე	6:3
პლზენი-ბრნო	3:4
ბუდეიოვიცე-ხომუტოვი	1:2 (ბ)
კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე	2:1 (ბ)

შვეიცარია

ამბრი-რაპერსვილი	6:4
ბერნი-დავოსი	4:2
კლოტენი-ლანგნაუ	8:0
ფრიბურგი-ბილი	3:4
ცუგი-ლუგანო	3:1
ციურიხი-სერვეტი	4:3 (ო)

ჩოგბურთი

დევისის თასი

შტეპანეკი-ფერერი	3:6, 4:6, 4:6
ბერდიხი-ალმაგრო	6:3, 3:6, 6:3, 6:7, 6:3

● TV პროგრამა

17 ნოემბერი. შაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. XV ტური. ბოკა ხუნიორსი-ნიუელსი.
12:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. XII ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-გერმანია.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XII ტურის წინ.
16:45 ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. არსენალი-ტოტენჰემი (LIVE).
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი (LIVE).
21:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. ნორვიჩი-მანჩესტერ იუნე (LIVE).
23:30 ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. მანჩესტერი სიტი-ასტონ ვილა.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVI ტური. სანტოსი-ფიგუეირენსე (LIVE).

GMG-სპორტი 1

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-ნიუ იორკი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 NBA ACTION.
16:30 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. VI ტური. პანათინაიკოსი-რეალი.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ნიურნბერგი-ბაიერნი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მიმოხილვა.
21:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ლევერკუზენი-შალკე (LIVE).
23:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
00:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ჩიკაგო (LIVE).

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.
16:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
17:00 ჩოგბურთი. დევისის თასი, ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი (LIVE).
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ფილადელფია.
21:45 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. დენ ჰაგი-ეინდჰოვენი (LIVE).
23:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.

I არხი

15:00 რაგბი. ტესტ-მატჩი. საქართველო-იაპონია (LIVE).

18 ნოემბერი. კვირა

GMG-ფეხბურთი

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVI ტური. სანტოსი-ფიგუეერესე.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXV ტურის მიმოხილვა.
15:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
15:30 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. დორტმუნდი-ფიურტი.
17:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. უტრეხტი-ტვენტე (LIVE).
19:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
20:30 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი (LIVE).
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVI ტური. ფლუმინენსე-კრუზეირო (LIVE).
01:00 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. ვერდერი-ფორტუნა.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ჩიკაგო.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
16:30 რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ავსტრალია.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ვერდერი-ფორტუნა (LIVE).
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ინდიანა (LIVE).
00:30 NBA ACTION.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
15:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
16:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.

I არხი

17:55 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ტორპედო-მეტალურგი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

მხედარი მიხაელი

შუმი ტექსასში დაბერდება

აშშ-ის გრანპრისწინა პერიოდი პილოტებმა სხვადასხვაგვარად გაატარეს. **მიხაელ შუმახერი** და მისი მეუღლე – **კორინა** შტატებში ჯერ კიდევ გასულ კვირას ჩავიდნენ, მოასწრეს "დალასისა" და "მინესოტას" საკალათბურთო მატჩზე დასწრება, ტექსასის შტატში იმოგზაურეს და იქვე რანჩოც შეიძინეს. როგორც ჩანს, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა გაარკვია, სად გაატარებს სიბერეს.

დიდი ხანია ცნობილია, რომ კორინა ცხენების მოშენებით არის გატაცებული და მას თავისი ჰობის განვითარების საშუალება ექნება. ამიერიდან, გერმანელი პილოტი შტატის ჩრდილოეთით 200 ჰექტარი მიწის მფლობელი იქნება. ტერიტორიაზე სახლების გარდა, არის საჯინიბო ადგილობრივი ჯიშის 36 ცხენით.

თავად მიხაელმა განაცხადა, რომ ამერიკაში საცხოვრებლად გადასვლაზე ლაპარაკი არ არის. *"ჩვენ ვრჩებით შვეიცარიაში, - ამბობს მიხაელი. - მაგრამ ხშირად ჩამოვალთ აქ და გარკვეულ დროს გავატარებთ. კორინას მოსწონს ცხენები, ეს ადგილი კი იდეალურად ერგება მის ჰობის".*

ჯენსონ ბატონი: უფრთხილდით პირველ მოსახვევს!

ჯენსონ ბატონი

„მაკლარენის" პილოტი **ჯენსონ ბატონი** მიიჩნევს, რომ აშშ-ის გრანპრიზე სტარტის აღება მეორე ადგილიდან უფრო მომგებიანია, ვიდრე პოულიდან. ბრიტანელმა განაცხადა, რომ ტრასის რელიეფის თავისებურებების გამო პოულის მფლობელს სტარტზე არ ექნება კონკურენტებზე უპირატესობა.

„ვფიქრობ, სასტარტო ბილიკზე მეორე ადგილი უფრო ხელსაყრელია, ვიდრე პირველი. მეორე პოზიცია ტრასის უფრო ბრტყელ მონაკვეთზეა, იმ დროს, როცა პირველი პოზიცია პირდაპირ ამაღლებაზე მდებარეობს", - ამბობს ბატონი.

პირველ მოსახვევში მოსალოდნელ ავარიაზე ჯენსონმა შემდეგი თქვა: „ვფიქრობ, ამის გამორიცხვა არ შეიძლება. ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ კვალიფიკაციაში, რადგან ზოგიერთებმა, შესაძლოა, არასტანდარტული მანევრები შემოგვთავაზონ პირველ მოსახვევში.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ პირველ მოსახვევთან მიახლოებისას არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის, სად იქნება აპექსი (ტრაექტორიის წერტილი, რომელიც ყველაზე ახლოსაა გზის შიდა საზღვართან). ერთადერთი პილოტს ეცოდინება ეს - მას, ვინც სხვებზე წინ იქნება ტრასის შიდა მხარეს. მხოლოდ მას შეუძლია დაინახოს აპექსი. ამიტომაც მნიშვნელოვანია კარგი სტარტი.

გარდა ამისა, ამაღლებაზე სტარტის დროს დამუხრუჭების წერტილი სხვანაირად უნდა შეარჩიო. როცა „მთაზე" ორი მეტრით გვიან ამუხრუჭებ, ეს სწორ გზაზე ერთი მეტრით გვიან დამუხრუჭების ტოლფასია. ამიტომაც, ბევრი ჩაატარებს ექსპერიმენტებს პირველ მოსახვევთან დამუხრუჭებისას, მაგრამ ზოგიერთისგან შეცდომა არ არის გამორიცხული.

ჯერ არ ვიცი, რამდენად იმოქმედებს ჩვენზე სიმაღლის ვარდნა. პირველი მოსახვევი მართლაც ექსტრემალურია, მაგრამ არ მგონია, რომ ტრასის დანარჩენ მონაკვეთებში რელიეფის თავისებურებები მძაფრად შევიგრძნოთ, რადგან ჩვენ ძალიან სწრაფად ვმოძრაობთ" - აფასებს ოსტინის ტრასის თავისებურებებს ბატონი.

ჩოგბურთი

დიდების დარბაზიდან გაძევებული

სამხრეთაფრიკელი **ბობ ჰიუიტი** ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზიდან გააძევეს, - დანერა სააგენტო „ფრანს-პრესმა".

15 ნოემბერს, დიდების დარბაზის აღმასკომში შედგა ფარული კენჭისყრა, რომელზეც გადაწყდა ჰიუიტის გაძევება. მიზეზი გახდა ბრალდება, რომლითაც ბობის წინააღმდეგ მისი ყოფილი მოსწავლეები გამოვიდნენ - მათ სამხრეთაფრიკელი გაუპატიურებაში დაადანაშაულეს.

ჰიუიტი 1960-80 წლებში გამოდიოდა პროფესიულ ტურში. 1976 წელს მან სამწვრთნელო სამუშაო დაიწყო, მაგრამ პარალელურად, მოთამაშის კარიერასაც აგრძელებდა. ჰიუიტის ანგარიშზეა წყვილთა თანრიგში „დიდი სლემის" ცხრა ტიტული, აგრეთვე ექვსი გამარჯვება მიქსტში. 1974 წელს, სამხრეთ აფრიკის შემადგენლობაში ის დევისის თასის გამარჯვებული გახდა. 1992 წელს, ბობ ჰიუიტი ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს.



ბობ ჰიუიტი

2011 წელს ცნობილი გახდა, რომ ჰიუიტის ყოფილმა მოსწავლეებმა მწვრთნელი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულეს. ზოგიერთი მონაცემით, 1970-90 წლებში, მწვრთნელმა დაახლოებით 30 გოგონა გააუპატიურა. 72 წლის მწვრთნელისთვის ბრალი ჯერ არ წაუყენებიათ.

2012 წლის მაისში საერთაშორისო დიდების დარბაზს ჰიუიტის გარიცხვა მოსთხოვეს, რასაც აღმასკომი შიდა გამოძიების ჩატარების შემდეგ დათანხმდა. ჰიუიტი პირველი ადამიანია, ვინც დიდების დარბაზიდან გაძევეს.

კლოდინ შოლი

შოლი და კოკაინი

ლუქსემბურგელი ჩოგბურთელი **კლოდინ შოლი** დამნაშავედ აღიარეს კოკაინის შენახვისა და მოხმარებისთვის. სასამართლომ სპორტსმენს 18-თვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა, - წერს ვებგვერდი Tennisreporters.net.

მსოფლიოს ყოფილმა 41-ე ჩოგანმა, 29 წლის შოლმა პროფესიულ კარიერაში WTA-ის ერთი ტიტული მოიგო - 2004 წელს, სტრასბურში მოიპოვა მთავარი პრიზი. ამ მომენტისთვის, შოლი 795-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში.

ხარბი ფედერერი

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** კომენტარი გაუკეთა იმ უთანხმოებას, რომელიც მას შეექმნა ბაზელში საშინაო ტურნირის ორგანიზატორებთან. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიული პრესის ინფორმაციით, 31 წლის ჩოგბურთელმა Swiss Indoors Basel-ში მონაწილეობისთვის საკუთარი ჰონორარის 500 ათასიდან ორ მილიონამდე გაზრდა მოითხოვა.

„ჩვენ კატარი არ ვართ", - ამბობს შვეიცარიის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **რენე სტამბახი**.

„ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ როჯერის ბაზელში ჩამოსვლა უზრუნველვყოთ, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობები ამოუწურავი არ არის. შესაძლოა, ვეღარ დავაკმაყოფილოთ მისი მოთხოვნები. ყველას არ შეუძლია გაწვდეს „როლს-როისის შეძენას", - განაცხადა ტურნირის დირექტორმა **როჯერ ბრენვალდმა**.

ამასთან, თავად ჩოგბურთელი უარყოფს, რომ უთანხმოება ფინანსურ ნიადაგზე წარმოიშვა.

„მე რომ ფული მჭირდებოდეს, სხვა გადაწყვეტილებას მივიღებდი - მაგალითად, აზიაში გამოვიდოდი. მაგრამ მე ყოველთვის ვანიჭებდი პრიორიტეტს ბაზელს. ბევრი რამით დავეხმარე ამ ტურნირს. ასე რომ, პასუხისმგებლობა შექმნილ სიტუაციაზე ბრენვალდს ენიჭება და არა მე", - ამბობს „დიდი სლემის" ტურნირების 17-გზის ჩემპიონი.



როჯერ ფედერერი

მძლეოსნობა

ბოლტის საიდუმლო ამოხსნილია

უსაინი ვარჯიშის დროს

ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი **უსაინ ბოლტი** მზადების პროცესში კიბეზე ზემოთ და ქვემოთ სირბილს იყენებს. სწორედ ასეთი საქმიანობის დროს დააფიქსირეს რეპორტიორებმა იამაიკელი ერთ-ერთ სტადიონზე.

„კიდევ ერთი ელემენტი ჩემს ვარჯიშებში - კიბეებზე სირბილი. პაპარაცებმა ჩემი მომზადების საიდუმლო გამოამჟღავნეს", - „ტვიტერის" ქსელში ფოტოზე კომენტარისას იხუმრა მსოფლიოს რეკორდსმენმა.

შეგახსენებთ, რომ ბოლტი წელს პრეტენზიას აცხადებს ნლის საუკეთესო მძლეოსნის ტიტულზე. იამაიკელის გარდა, ამ პრიზზე წარდგენილნი არიან: ამერიკელი **ერის მერიტი** და კენიელი **დავიდ რუდიშა**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ISSN 2233-3827



9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ირაკლი თავაძე***

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608